ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 1 თებერვალი, 2017 | №26 (7261) | ფასი: 50 თეთრი

## დივერსია დევნილების წინააღმდეგ



გვ.6

რა საფრთხეებს შეიცავს სუბარის სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი

1 თებერვლიდან

საქართველოს გეოგრაფიული ატლასი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი




# „ნაციონალები, ბოკერიას გუნდი, „გირჩი“ და ვაშაძე ბლოკს შექმნიან“




## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ხელისუფლების წამმზომი ჩართულია“

გვ. 6

„საპროტესტო მუხტის მოსაკლავად რამდენიმე აქციაა მომზადებული"

## მამუკა გამყრელიძე: „ჩვენი ხელისუფლება ევროსასამართლოს არასერიოზულად უყურებს“



გვ.2

„ქვეყანაში აღარ არის კონკურსები, ტენდერები, ხალხს ირჩევენ იმის მიხედვით, ვინ ვისი ნათესავი და ახლობელია“

## ირაკლი სესიაშვილი: „მესამე სექტორის ზოგიერთ წარმომადგენელს მოსმენების კანონპროექტი წაკითხულიც კი არ აქვს“



გვ.3

## „ნატოსთან დაკავშირებით ხელისუფლება შეგნებულ პოლიტიკას ატარებს“



თორნიკე შარაშენიძე: „მთავრობა ასე ფიქრობს: ჯობია, ჩუმად ვიყოთ და რუსეთმა თავში არ ჩაგვარტყას“



გვ.5

## „საქართველოს მომავალი დასავლეთთან არის დაკავშირებული“

გიორგი გაჩეჩილაძე: „ნატოში ამერიკის პოზიციები არ შესუსტდება“

## ზურაბ აბაშიძე: „ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი არასდროს ვიქნები“



გვ.2

„მე პარტიული საქმიანობა დავასრულე. რომელი პარტია გაიმარჯვებს არჩევნებში და ვინ იქნება ხელისუფლებაში, საზოგადოების გადასაწყვეტია“

## ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთის პოლიტიკაში ბრუნდება



გვ.5

## ქართველ სამხედროებს რუსებისგან პრეზიდენტი დაიცავს?

გვ.4

მოსკოვმა 50-მდე ქართველ ოფიცერზე ძებნა გამოაცხადა

ISSN 1987-9385

# ზურაბ აბაშიძე: „ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი არასდროს ვიქნები“

ნონა ცაბაძე



**„მე პარტიული საქმიანობა დავასრულე. რომელი პარტია გაიმარჯვებს არჩევნებში და ვინ იქნება ხელისუფლებაში, საზოგადოების გადასაწყვეტია“**

**ირაკლი ალასანიას ყოფილი თანაგუნდელი, თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე ყაზახეთში საქართველოს ელჩად დაინიშნა. ბრძანებულებას პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ხელი 30 იანვარს მოაწერა. „ახალი თაობა" ზურაბ აბაშიძესთან ინტერვიუს გთავაზობთ.**

***– ბატონო ზურაბ, თქვენს დანიშვნას უკვე მოჰყვა კომენტარები და ქვეტექსტები, რომ ირაკლი ალასანიას გუნდის წევრები ხელისუფლებაში გადაბარგდნენ. სწორედ ამიტომ ხომ არ დაიშალა პარტია?***

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პარტია საბოლოოდ არ დაშლილა და მეტ-ნაკლებად კიდევ აგრძელებს თავის საქმიანობას. როდესაც ჩვენ, ძირითადი ბირთვი, წამოვედით ამ პარტიიდან, მაშინ ვთქვით, რომ გზას ვუთმობთ ახალ სახეებს, რომლებსაც სურთ, პარტიული საქმიანობა გააგრძელონ, აქვთ მეტი მოტივაცია და წარმატება ვუსურვეთ. იქ რამდენიმე ძველი სახეც დარჩა.

***– მოჰყვა რაიმე სახის კონფლიქტი პარტიიდან თქვენს წამოსვლას?***

– პირდაპირ გეტყვით, რომ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით ძალიან კორექტულად, ძალიან ცივილიზებულად. ასე რომ, პარტიული საქმიანობა მე უკვე რამდენიმე თვეა შევაჩერე, აღარ ვარ თავისუფალ დემოკრატებში. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ საქმიანობასაც ჩამოვშორდი და ვიყავი თავისუფალი მოქალაქე გუშინდლამდე. დღეიდან უკვე ვარ დიპლომატიურ სამსახურში.

***– პარტიიდან წამოსვლის შემდეგ თქვენ აცხადებდით, რომ არ აპირებდით ხელისუფლებასთან თანამშრომლობას. რა შეიცვალა?***

– არა, მე ასეთი რამე არ მითქვამს. თავიდანვე, როცა არჩევნების პირველი ტური დასრულდა, თავისუფალმა დემოკრატებმა ვერ მიიღეს ხმების შესაბამისი რაოდენობა და ვერ გადალახეს ბარიერი, დაინიშნა მეორე ტურები და ამ ფონზე ჩემი პოზიცია იყო საკმაოდ მკაფიო და მკვეთრი. მე გამოვედი და მხარი დავუჭირე ხელისუფლების წარმომადგენელს და ეს იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი წყალგამყოფი მაშინ.

***– წყალგამყოფი რასთან დაკავშირებით?***

– მე მაშინ მკაფიოდ ვთქვი, რომ არასდროს ვიქნები ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი და მხარს არ დავუჭერ იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდეს ამ ქვეყანაში. ეს იყო ძალიან მკაფიო გზავნილი ჩემი მხრიდან. თუ ვინმეს აინტერესებს ჩემი მაშინდელი პოლიტიკური შეხედულებები, ეს ასე იყო. დღეს მე აღარ გახლავართ პოლიტიკაში, ვარ ელჩი, მალე გავემგზავრები ყაზახეთში და ახლა მხოლოდ ამ საკითხით ვარ დაკავებული.

***– ხელისუფლების მხარდაჭერა დაუფასესო. ასეა?***

– რადგან კითხვა დამისვით, ამიტომ გავიხსენე ჩემი იმდროინდელი პოლიტიკური განცხადებები. ხელისუფლების მხარდაჭერას რაც შეეხება, მე ხელისუფლებასთან მაშინაც ვთანამშრომლობდი, როცა ვიყავი ხელისუფლებაში და მაშინაც, როდესაც აღარ ვიყავი.

***– ყოველთვის გამოდიოდა კულუარული ინფორმაციები, რომ თქვენ თავიდანვე წინააღმდეგი იყავით კოალიციის დატოვებისა და იმ კურსის, რომელიც ალასანიამ აირჩია. ამიტომ დაპირისპირება იყო შიგნითო. ასეა?***

– აზრთა სხვადასხვაობაზე როდესაც ვსაუბრობთ, ყველა პარტიაშია განსხვავებული პოზიციები, განსხვავებული შეხედულებები და ტაქტიკურად განსხვავებული მიდგომები. თუმცა, ამის მიუხედავად, ჩვენ ბევრი რამ გვქონდა საერთო და იმიტომაც ვიყავით ერთად პარტიაში. მე პარტიული საქმიანობა დავასრულე და დღეს სულ სხვა საქმეს ვაგრძელებ. დანარჩენი, რომელი პარტია გაიმარჯვებს არჩევნებში და ვინ იქნება ხელისუფლებაში – ეს საზოგადოების გადასაწყვეტია. მე ვაპირებ ჩემი საქმის კეთებას.

***– დაბრუნდებით აქტიურ პოლიტიკაში?***

– დავბრუნდები თუ არა პოლიტიკაში და გავაგრძელებ თუ არა ამ კუთხით აქტიურობას, ამას დრო გვიჩვენებს.

***– ეს შემოთავაზება თავიდანვე მიიღეთ ხელისუფლების მხრიდან?***

– თავიდან არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა. ამას გულწრფელად გეუბნებით. ეს შემოთავაზება მოგვიანებით იყო. მე გიყვებით ჩემი პოლიტიკური საქმიანობის ისტორიას. სანამ ვიყავი კიდევ პარლამენტის წევრი, გამოვედი და ვთქვი, რომ მხარს ვუჭერ „ქართულ ოცნებას“ და არ ვუჭერ ნაციონალურ მოძრაობას. ეს იყო დასასრული ჩემი იმ პერიოდის პოლიტიკური საქმიანობისა.

***– დატოვეთ თუ არა პარტია, მაშინვე დაიწყო საუბარი იმის თაობაზე, რომ თქვენ და ვიქტორ დოლიძეს გქონდათ შემოთავაზება ხელისუფლების მხრიდან. არ იყო ასე?***

– არა, არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა, პირდაპირ გეუბნებით. ეს ყველაფერი მოხდა მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დასრულდა არჩევნები, დაიწყო კონსულტაციები. დიდი სიამოვნებით მივიღე ეს შემოთავაზება და ვაპირებ, ვიყო ჩვენი ქვეყნის სამსახურში. დღეს ძალიან ბევრი პრობლემა არსებობს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკურ თვალსაზრისით და სწორედ ყაზახეთია ის ქვეყანა, საიდანაც ძალიან ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება ეკონომიკური თვალსაზრისით, კომერციული თვალსაზრისით, ენერგორესურსების თვალსაზრისით, ასევე ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც დამეკისრა მე, როგორც საქართველოს წარმომადგენელს ამ ქვეყანაში.

***– ვის ჩაანაცვლებთ ყაზახეთში?***

– მას შემდეგ, რაც ზურაბ პატარაძემ აჭარაში დაიკავა მთავრობის თავმჯდომარის პოზიცია, ეს თანამდებობა იყო ვაკანტური. გუშინ დამამტკიცა პრეზიდენტმა აღნიშნულ პოსტზე. ეს არის კონსტიტუციით განსაზღვრული წესი, საგარეო საქმეთა სამინისტრო წარუდგენს მთავრობას, მთავრობა განიხილავს და შემდეგ უკვე პრემიერ-მინისტრი წარუდგენს პრეზიდენტს დასამტკიცებლად. პრეზიდენტმაც მოიწონა და დაამტკიცა. ამის მეტს ვერაფერს გეტყვით. დღეს უკვე ვარ დიპლომატიურ სამსახურში, ამიტომ ზედმეტი პოლიტიკური განცხადებებისგან თავს შევიკავებ.

# მამუკა გამყრელიძე: „ჩვენი ხელისუფლება ევროსასამართლოს არასერიოზულად უყურებს“

**„ქვეყანაში აღარ არის კონკურსები, ტენდერები, ხალხს ირჩევენ იმის მიხედვით, ვინ ვისი ნათესავი და ახლობელია“**



ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ მამუკა გამყრელიძესთან

***– ბატონო მამუკა, ევროსასამართლოში მოსამართლეების კანდიდატურების ჩავარდნას პარლამენტის თავმჯდომარე ეხმიანება და ის აცხადებს, რომ მსგავსი რამ აღარ გამეორდება. მათ აუცილებლად ეყოლებათ მოსამართლე ევროსასამართლოში. თქვენ საკმაოდ აკრიტიკებთ ხელისუფლებას. რა შეცდომები დაუშვეს პირველ ჯერზე, რატომ ჩავარდა კანდიდატურები?***

– აღნიშნული არასასურველი შედეგი საქართველოსთვის, პირველ ყოვლისა, დადგა იმ პროცედურული ხარვეზის გამო, რომელიც თავიდანვე აშკარა იყო შერჩევის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე.

ჩვენ გავაჟღერეთ ეს რეკომენდაციები და, იმედია, გაითვალისწინებს ხელისუფლება. მთავარია, გაითვალისწინონ ის რეკომენდაციები, რომლებსაც ახლა მათ ევროსაბჭო მისცემს. ამის შემდეგ კი აქ აუცილებლად უნდა შეიქმნას ახალი კომისია, რომელიც იქნება მიუკერძოებელი, ყოველგვარი ნეპოტიზმისა და არასერიოზული დამოკიდებულების გარეშე.

***– თქვენი აზრით, ვინ უნდა იყოს კომისიის ხელმძღვანელი?***

– თავად პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კარგია, თუ ეს პარლამენტის რომელიმე წევრი იქნება, რადგან მას მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება.

***– რატომ ჩავარდა კანდიდატურები?***

– მიმაჩნია, რომ საკმაოდ არასერიოზული დამოკიდებულება იყო ჩვენი ხელისუფლების მხრიდან. რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ევროსტრუქტურებში, შესაძლებელია, ისეთივე დამოკიდებულება იყოს, როგორიც დღეს საქართველოშია. დღეს ჩვენს ქვეყანაში აღარ არის აღარანაირი კონკურსი, ტენდერები. ხალხს ირჩევენ იმის მიხედვით, ვინ ვისი ნათესავი და ახლობელია.

***– წინა ხელისუფლების დროს მსგავსი რამ არ ხდებოდა?***

– წინა წლებში ასე იყო, ვინ ჩვენია და ვინ – არა, ანუ პოლიტიკური შეხედულების მიხედვით. ახლა პოლიტიკურ შეხედულებებს კიდევ ოჯახის წევრობა დაემატა. დღეს სულ მთლად კლანურ ურთიერთობებში გადავცვივდით. ეს არაფერს კარგს არ მოიტანს. ნამდვილი პროფესიონალები ასეთ დროს ყოველთვის იჩაგრებიან და წამგებიან სიტუაციაში არიან. შესაბამისად, მივიღეთ ეს შედეგი.

***– მოითხოვთ, საჯარო განსჯის საგანი გახდეს ეს საკითხი, საზოგადოება აქტიურად ჩაერთოს კანდიდატების არჩევაში?***

– არა, ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ასეთი თემები საჯარო განხილვის საგანი უნდა იყოს. ეს არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. ეს არ არის სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხი. უბრალოდ, პროფესიონალურად და კარგად მომზადებულ, მიუკერძოებელ კომისიაში უნდა გადაწყდეს იგი, ისეთ კომისიაში, რომელსაც ხალხი ენდობა. ჩვენ ცხვირში მოგვარტყეს წკიპურტი იმიტომ, რომ სრულიად არასერიოზულად მივუდექით ამ საკითხს.

***– ანუ არ იყვნენ შერჩეული შესაფერისი კანდიდატები?***

– რასაკვირველია. შეიძლება, ასფალტის დაგებაზე ტენდერი ნარმანიამ თავის ბიძაშვილს ან მამიდაშვილს მოაგებინოს, მაგრამ, როდესაც ასეთ სერიოზულ სტრუქტურაში, ასეთ სერიოზულ თანამდებობაზე უშვებ ქვეყნის წარმომადგენელს, რომელიც შენი სახე უნდა იყოს, შენი სასამართლოს მიუკერძოებლობის, იმის დაშვება, რაც დაუშვეს, ჩვენს ქვეყანას აგდებს სამარცხვინო და უხერხულ მდგომარეობაში!

***– არის შანსი, რომ უკეთესი კანდიდატი შეირჩევა?***

– იმედია, მიხვდებიან, რომ ეს საკითხი მხოლოდ თეა წულუკიანის ხუშტურებზე არ არის დამოკიდებული.

***– რის თქმა გინდათ, რომ თეა წულუკიანმა შეარჩია ცუდი კანდიდატები?***

– რა თქმა უნდა, დღეს თუკი რამე, იუსტიციასთან დაკავშირებული, ცუდია საქართველოში, ყველაფერი თეა წულუკიანს მოეკითხება. საშინლად ოდიოზური პიროვნებაა, ყოველგვარ ფარგლებს გაცილებული ადამიანი! თუმცა, სამწუხაროდ, დღეს

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნატოსთან დაკავშირებით ხელისუფლება შეგნებულ პოლიტიკას ატარებს“

## თორნიკე შარაშენიძე: „მთავრობა ასე ფიქრობს: ჯობია, ჩუმად ვიყოთ და რუსეთმა თავში არ ჩაგვარტყას“

ნათია ხურცილავა

**საერთაშორისო საკითხებში ექსპერტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საუბრობს ნატოს ბრიუსელის სამიტზე.**

***– ნატოს ბრიუსელის სამიტში საქართველო მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან წევრი სახელმწიფოების სამიტია და არა ასპირანტი და მოკავშირე ქვეყნების შეხვედრა. უნდა იყოს თუ არა საქართველო წარმოდგენილი ასეთ მაღალ ტრიბუნაზე, რატომ ამბობს ამ შესაძლებლობაზე უარს ხელისუფლება?***

– ეს არის შეგნებული პოლიტიკა, რომელსაც ატარებს დღევანდელი ხელისუფლება. ეს არის ის პოლიტიკა, რომელიც აირჩია მთავრობამ.

***– საერთაშორისო ორბიტიდან საქართველოს საკითხის მოხსნა რამდენად არის ჩვენს ინტერესებში?***

– ჯობია, ჩუმად ვიყოთ და თავში არ ჩაგვარტყას რუსეთმა – ეს არის მთელი ქვეტექსტი ამ პოლიტიკის. სხვა ახსნა არ არსებობს. ეს პოლიტიკა ტარდება შეგნებულად და აშკარად.

***– ეს არის ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებისგან მკვეთრად საპირისპირო პოლიტიკა. რამდენად გაამართლებს?***

– დიახ, ეს არის მკვეთრად საპირისპირო პოლიტიკა წინა ხელისუფლებისგან, მაგრამ რამდენად გაამართლებს ეს პოლიტიკა, ამაზე დღეს საუბარი რთულია, რადგან შედეგები უფრო შორეულ პერსპექტივაშია დასანახი. დღეს არსებული შედეგებით შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ ის, რომ რუსეთს არ დაურტყამს და ომი არ უწარმოებია ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რამდენად იყო რეალური საფუძველი და საფრთხე იმისთვის, რომ რუსეთს დაერტყა საქართველოსთვის?!

ამიტომ ჯერჯერობით ამ კითხვაზე, რამდენად ამართლებს არსებული პოლიტიკა და მიდგომა, რთულია პასუხის გაცემა. ალბათ პასუხი დიდი ხნის შემდეგ იქნება, როდესაც უფრო მეტი გამოჩნდება და სურათი უფრო დალაგდება. აქვე საერთაშორისო ვითარებაც არის გასათვალისწინებელი, რა მდგომარეობა გვაქვს ირგვლივ, როგორ ვითარდება პროცესები, რა როლი აქვს მთელ ამ ყველაფერში რუსეთს და ა.შ.

***– წელს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში არჩევნებია, სადაც პრორუსული ძალები ლიდერობენ. რითი შეიძლება ეს აიხსნას?***

– მე პრორუსულს ვერ ვუწოდებდი ამ ძალებს. არ მგონია, რომ ისინი ასე პოპულარულები იყვნენ.

***– გამოკითხვების შედეგად, საფრანგეთში მარინ ლე პენმა შეიძლება გაიმარჯვოს.***

– გასაგებია, რადგან მარინ ლე პენს თავისი ინტერესები აქვს, რადგან აშკარად რუსეთი აფინანსებს და ის აკეთებს განცხადებებს, რომლებიც რუსეთის ინტერესებს ემსახურება. თუმცა, პრორუსული არ მგონია რომელიმე ძალა იყოს სერიოზულად და მოვიდეს რომელიმე ევროპული სახელმწიფოს სათავეში.

ამ ეტაპზე რუსეთს ძლიერი ლიდერი და ასევე მობილიზებული საზოგადოება ჰყავს, ასევე აქვს სერიოზული პროპაგანდა ქვეყნის გარეთ თუ შიგნით, რომელიც კარგად მუშაობს, ეს ყველაფერი მიღწეული აქვს იმ მეთოდით, რომელიც 21-ე საუკუნეში მიუღებელი და დაუშვებელია ევროპული საზოგადოებისთვის, მაგრამ აშკარაა, რომ მუშაობს. ვგულისხმობ ტვინის გამორეცხვის მეთოდს.

***– ისევ საქართველოს დავუბრუნდეთ. ისევ ფიქრობთ, რომ გამოსავალი მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსია, სადაც საქართველოს დაცულობა ყველაზე მეტად იქნება გარანტირებული?***



– ნატო არის ყველაზე წარმატებული ალიანსი, რაც კი შექმნილა მსოფლიო ისტორიაში, ამიტომ მივისწრაფვით მისკენ. თუ ნატოში არ შევალთ და ისე გავძლიერდებით, რომ მტერს მოვიგერიებთ, კი ბატონო, არ გვინდა ნატო, მაგრამ ფაქტია, რომ ვერ ვძლიერდებით. თუკი მოხდა ისე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ეს არის იაპონიაში, განთავსდება სამუდამოდ ამერიკული ბაზა, მაშინ შეიძლება ნატოზე არ ვიფიქროთ, მაგრამ ამერიკული ბაზა არ გაიხსნება.

ეს ერთი საკითხი, მეორე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ ნატოსკენ მიმავალ გზაზე ჩვენ არაერთი კარგი რეფორმა გავატარეთ, რომელმაც არგო არა მხოლოდ ქართულ შეიარაღებულ ძალებს, არამედ არგო ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებასა და გაძლიერებას. ამ ეტაპზე, სანამ ვერ ხდება გაწევრიანება, ეს არის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო და მომგებიანი, ეს არის ერთ-ერთი პლუსი ნატოსკენ მიმავალ გზაზე.

***– ნიჰილისტური განწყობები, იმედგაცრუება რამდენად სდევს ამ პროცესს?***

– ცხადია, რომ სდევს. სამწუხაროდ, ეს რეალობაა, მაგრამ მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებზე არ არის დამოკიდებული ჩვენი გაწევრიანების საკითხი. სხვა გარემოებებზე, სხვა ფაქტორებზეც არის დამოკიდებული. ჯერჯერობით ეს გარემო ფაქტორები ისე არ არის დალაგებული, როგორც ჩვენ გვინდა.

***– ტრამპის განცხადებები ნატოსადმი ეჭვქვეშ არ აყენებს მის პერსპექტივას?***

– ტრამპი ამბობს, რომ ევროპელები არ ხარჯავენ იმდენს, რამდენსაც ამერიკელები, ეს არ არის ნორმალური. ამ განცხადებაში ნატოს საწინააღმდეგო არაფერია. მეტიც, შეიძლება დაეთანხმო კიდეც.

***– ნატოს შავი ზღვის აკვატორიის გაკონტროლების პროექტში საქართველოც უნდა ყოფილიყო ჩართული. რამდენად რეალურია ამ პროექტში საქართველოს ჩართვა?***

– შავი ზღვის აკვატორიის გაკონტროლება ნატოსთვისაც რთული პერსპექტივაა ამ ეტაპისთვის. მით უმეტეს, სანამ ტრამპის ადმინისტრაცია გაერკვევა სიტუაციაში, ალბათ დიდი დრო გავა. ამიტომ ვამბობ, რომ ეს შორეული და რთული პერსპექტივაა.

# ირაკლი სესიაშვილი: „მესამე სექტორის ზოგიერთ წარმომადგენელს მოსმენების კანონპროექტი წაკითხულიც კი არ აქვს“

ნონა ცაბაძე

**მოსმენების კანონის ირგვლივ ვნებათაღელვა არ ცხრება. ხელისუფლების პოზიცია მესამე სექტორისთვის მიუღებელია.**

ალნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით მთელი დღის განმავლობაში საკომიტეტო მოსმენა მიმდინარეობდა, თუმცა უმრავლესობამ მესამე სექტორის დარწმუნება და მისი ნდობის მოპოვება ვერ მოახერხა, თუმცა უნდა ალინისნოს რომ ასეთი ფორმატში კანონის განხილვა თავისთავად სიახლეა ჩვენი ქვეყნისთვის.

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი პასუხობს.

***– ბატონო ირაკლი, მესამე სექტორი აპროტესტებს ალნიშნულ კანონპროექტს, კონკრეტულად რა არის მათთვის მიუღებელი?***

– აპროტესტებს იმიტომ, რომ ზოგიერთ მათგანს წაკითხულიც არ ჰქონდა. ალნიშნული პაკეტი დაახლოებით 100 ფურცლიანია, წაკითხულიც არ ჰქონდა, დაჯდა და პროტესტის მთელი კასკადი გამოუშვა. როგორ დავიჯერო, რომ ეს კრიტიკა გულწრფელია?!

***– ანუ ეს არის პოლიტიკურად მოტივირებული პოზიცია?***

– მეჩვენება, რომ შარის თემაა. რაც არ უნდა გავაკეთოთ, რაც არ უნდა დავწეროთ, როგორი სისტემაც არ უნდა შევქმნათ, მაინც პროტესტს გამოთქვამენ. რომ ვეკითხები, თქვენ რომელი მოდელი გაწყობს, მეუბნება, რომ პარლამენტს დაუქვემდებარეო. როგორ შეიძლება ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური, რომელიც არის ჩვეულებრივი დეპარტამენტის დონე, დაუქვემდებარო პარლამენტს! მაშინ პატრულიც დავუქვემდებაროთ პარლამენტს, სახელმწიფო დაზვერვა დავუქვემდებაროთ.

პარლამენტი არის საკანონმდებლო ორგანო და არა – საგამოძიებო



მოქმედებების ნაწილი. ეს წარმოუდგენელია! ასეთი ვერსია რომ გექნება ვითომ ექსპერტს, რომელსაც პრეტენზია გაქვს, რომ იურისტი ხარ და პრეტენზია გაქვს, რომ გესმის სახელისუფლო შტოებს შორის გადანაწილების პრინციპი, ასეთ ადამიანს რა უნდა ველაპარაკოთ? რადგან მას არ მოსწონს, ესე იგი პროფესიონალურად შევასრულეთ ჩვენი სამუშაო!

***– რა გადაწყდა, რჩება გასაღები სუს-ის დაქვემდებარებაში?***

– ყალიბდება სსიპად, იქნება არჩევის წესი, ანუ კომისია შეარჩევს სამ კანდიდატში. ამ კომისიაში იქნებიან პარლამენტის, მთავრობის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სახალხო დამცველის წარმომადგენელი. შეარჩევენ კანდიდატურას, რომელსაც წარუდგენენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, რომელიც ამ კანდიდატურას წარუდგენს პრემიერ-მინისტრს.

***– კომისიის მიერ შეირჩევა კანდიდატურა?***

– რეალურად კომისია არჩევს კანდიდატურას, პრემიერ-მინისტრი დაამტკიცებს. ექნება თავისი ბიუჯეტი, ექნება დამოუკიდებლობის სრული გარანტია.

***– ანუ რაღაც ახალი ინსტიტუტის მსგავსი იქმნება?***

– ფაქტობრივად, ახალი იქმნება. ერთადერთი ბმა აქვს, ის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში რჩება, ოღონდ სსიპად რჩება. შესაბამისად, მისი დამოუკიდებლობის ხარისხი იქნება ძალიან დიდი. სახელმწიფო უსაფრთხოების უფროსს არ ექნება ამ სამსახურის უფროსის მოხსნის უფლებამოსილება და ვერც დირექტივებს მისცემს. მას ჩამოსცილდება საგამოძიებო ფუნქციები, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო ითხოვს და ვიტყოდი, რომ გაორმაგებულია საკონტროლო საშუალებები. გარდა იმისა, რომ ნდობის ჯგუფის წინაშე ანგარიშვალდებული იქნება, ნდობის ჯგუფი შევა ამ დახურულ სივრცეში და სრულ კონტროლს განახორციელებს.

***– არ ირღვევა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რასაც გედავებათ მესამე სექტორი?***

– არა, რა თქმა უნდა! გარდა ამისა, კონტრდაზვერვის საქმიანობაზე ფარული საგამოძიებო მოქმედებები ხომ არ საჭიროებდა სასამართლოს გადაწყვეტილებას, ახლა ზედამხედველი პროკურორი და ზედამხედველი მოსამართლე ეყოლება კონტრდაზვერვით საქმიანობას. მე არ მესმის მესამე სექტორის პოზიცია, მათ არც კი წაუკითხავთ და უკვე კრიტიკით არიან დაკავებული.

***– არ არის ნდობა?***

– მათ ეჭვი ეპარებათ, რომ ეს დამოუკიდებელი ორგანო იქნება. კითხვაზე, რომ სად შეიძლება განთავსდეს ეს სამსახური, ყველაზე აბსურდულ პასუხს გვაძლევენ, რომ პარლამენტს დაექვემდებაროსო.

***– საბოლოო სახეს როდის მიიღებს ეს პაკეტი?***

– უკვე დავიწყებთ კომიტეტებზე მსჯელობას, მე სხდომაზე რამდენიმე შენიშვნა გავაჟღერე. საკომიტეტო მოსმენების შემდგომ უკვე პარლამენტს წარედგინება განსახილველად. დარწმუნებული ვარ, რომ თებერვალში მოვრჩებით.

***– როგორია მსოფლიო ტენდენცია ამ სფეროში?***

– არცერთ ქვეყანას არ აქვს ისეთი სისტემა, რასაც საქართველოში ითხოვენ . ჩვენ გამოვიკვლიეთ აშშ-ის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის ქვეყნების მალაგითები, არსად ასეთი მეთოდი არ არის.

# მამუკა გამყრელიძე: „ჩვენი ხელისუფლება ევროსასამართლოს არასერიოზულად უყურებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვიღებთ იმას, რომ ეს ადამიანი მეორე ვადით არის იუსტიციის მინისტრი. სანამ ეს ბოროტი ძალა არ მოსცილდება იუსტიციის სამინისტროს, ამ მიმართულებით კარგი არაფერი მოხდება! პრემიერი თუ გაითვალისწინებს საზოგადოების რეკომენდაციებს, ცუდი არ იქნება, თუ არადა, კრეტინი წულუკიანების ხელში ვიქნებით!

***– ამ ფონზე რამდენად ელახება სახელი საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენს ქვეყანას?***

– თქვენ არ იცით, რა ხდება კულუარებში. ამაზე ხმამაღლა საუბარიც კი მიზანშეწონილი არ არის.

***– ასეთი რა ხდება?***

– ისეთი სამარცხვინო მდგომარეობაა, რომ ამას, უბრალოდ, ვერც გადმოგცემთ. სერიოზული დარტყმები მიაყენეს ჩვენს იმიჯსა და პოზიციებს. არ ვსაუბრობ მხოლოდ ბოლო ფაქტზე. ოთხი წელია გრძელდება ასეთი არასერიოზული მიდგომები, არასერიოზული განცხადებები. სირცხვილია, ხალხო!

ეკა ბესელიას იმედად რომ იქნება საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, რბილად რომ ვთქვათ, ეს არასახარბიელო მდგომარეობაში აგდებს ქვეყანას. გუგული მაღრაძეები და ეკა ბესელიები წარმოადგენენ დღეს ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე. სამწუხაროდ, ის პროფესიონალები, რომლებიც ადრე იყვნენ, ასეთებმა ჩაანაცვლეს.

***– თქვენ მაინც ძველ დროს მისტირით?***

– ის, რასაც ვერ წაართმევთ წინა ხელისუფლებას, ამ კუთხით იყო ძალიან მაღალპროფესიონალური დამოკიდებულება. შესაძლოა, ბევრი დარღვევა ჰქონდათ, მაგრამ საერთო ასპარეზზე ყველა დეტალს პროფესიონალურად უდგებოდნენ.

***– ელჩების შესახებ რის თქმა შეგიძლიათ, ისინიც არაპროფესიონალები არიან?***

– ნამდვილად არ მინდა კოლეგებზე საუბარი. ეს ჩემი მხრიდან სწორი არ იქნება. არიან უფრო მეტად პროფესიონალები და ნაკლებად პროფესიონალები, თუმცა კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ნაციონალები, ბოკერიას გუნდი, „გირჩი“ და ვაშაძე ბლოკს შექმნიან“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ხელისუფლების წამმზომი ჩართულია“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არის სახიფათო ნაციონალების დაშლა, რა პრობლემების წინაშე დადგება ხელისუფლება გაზაფხულზე, ვინ მართავს რეალურად პარლამენტს, ვინ და როგორ გეგმავს საპროტესტო მუხტის მოკვლას? – ამის შესახებ „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**




**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– ხელისუფლების წარმომადგენლები ძალიან გახარებულები არიან იმის გამო, რომ ნაციონალების გაყოფა მოხდა, არადა სასიხარულოდ ნამდვილად არა აქვთ საქმე. ბოკერიას გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენლის სიტყვებზე დაყრდნობით გეუბნებით, რომ ეს იყო წინასწარ შემუშავებული გეგმა, რომელიც თვითმმართველობის არჩევნების წინ უნდა განხორციელებულიყო.

ამიტომაც მოვუწოდებ ზოგიერთებს, თავი დაანებონ იმაზე საუბარს, რომ ნაციონალური მოძრაობა მათ დაშალეს. ასევე უაზრობაა იმის მტკიცებაც, თითქოს ამ პროცესების უკან ბიძინა ივანიშვილი დგას და მან იყიდა ბოკერია-უგულავას გუნდი.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ მათი დაშლა ივანიშვილის ინტერესებში არ შედიოდა?***

– ინტერესებში შეიძლება შედიოდა, მაგრამ ივანიშვილს არავინ არ უყიდია. ნაციონალების შიგნით ყოველთვის იყო განხეთქილება და ერთმანეთს აგინებდნენ კიდევაც. მინდა გაგახსენოთ სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, სადაც გოკა გაბაშვილი მიხეილ სააკაშვილს აგინებს. ამ გუნდის შიგნით დაპირისპირება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, მაგრამ ეს ამბავი სამზარეულოდან არ გამოდიოდა.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციაში გადავიდნენ და აღარც სააკაშვილი აღარ არის პრეზიდენტი, ყველას ლიდერობა მოუნდა. ლიდერობის ამდენმა მსურველმა ერთად ბალახი ვერ მოძოვა და ამიტომაც მოხდა მათი გაყოფა და არა დაშლა. აქვე მინდა გაგახსენოთ დავით საყვარელიძის განცხადება. მან 4 წლის წინ თქვა, რომ ჩვენ კი არ უნდა დავიშალოთ, არამედ უნდა გავიშალოთო. სწორედ გაშლასთან გვაქვს საქმე და კიდევ ვიმეორებ, ვიღაცეებმა ნაადრევ ზეიმს დაანებონ თავი.

***– რატომ გგონიათ, რომ ნაციონალების დაშლა ხელისუფლებისთვის ცუდია ან რა გეგმა აქვთ მათ, რომლის შესახებაც თავში განაცხადეთ?***

– ეს გეგმა პირველ რიგში თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდება. გიგი უგულავას მიმართ ძალიან ბევრი პრეტენზია არსებობს, მაგრამ ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მერად ყოფნის პერიოდში მან თბილისში ბევრი რამე გააკეთა. ეს ხალხს ძალიან კარგად ახსოვს და გაყოფის მიზანიც ეს არის. ნაციონალები ფიქრობენ, რომ თბილისში უგულავას ხალხი აიღებს არჩევნებზე ხმებს, დანარჩენი ნაციონალები კი რაიონებში შეეცდებიან ხმების მოპოვებას.

გვინდა თუ არა ჩვენ, სააკაშვილს რეგიონებში საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს და სავარაუდოდ, სერიოზული რაოდენობით დააგროვებენ ხმებს. საქმე-საქმეზე რომ მიდგება, უპრობლემოდ შექმნიან ბლოკს. ამის შესაძლებლობას თავადაც არ გამორიცხავენ. ამასთან დაკავშირებით არაერთი განცხადებაა გაკეთებული. აქედან გამომდინარე მართლა ვერ ვხვდები, რა უხარია ამ ხალხს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქამდე მედია-სივრცე მარტო ერთ პარტიას ეჭირა, ახლა ამ სივრცეს 4 პარტია აკონტროლებს და 4 მხრიდან უტევენ ხელისუფლებას.

***– 2 პარტია გასაგებია რომელიც არის და დანარჩენი 2 რომელია?***

– ვაშაძის პარტია და გირჩებ-მირჩები. ისინი ნაციონალებს უფრო ადრე გამოეყვნენ. ამათ მთელი პოლიტიკური სივრცე აითვისეს. ოთხივეს აქვს ფული და გარკვეული გავლენები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ამათ ფონზე პატრიოტული სულისკვეთების პარტიები მთლიანად ჩაიძირნენ. მათ რაღაც თოქ-შოუებში თუ მიიწვევენ ხოლმე, ამის პარალელურად გარკვეული ძალები მათ გამარგინალებას ცდილობენ. სამაგიეროდ, ნაციონალების ყველა დანაყოფს აქვს გზა გახსნილი.

***– თქვენ არ გამორიცხავთ, რომ ნაციონალების განაყოფებმა ბლოკი შექმნან. მას შემდეგ, რაც ერთმანეთზე აქვთ ნალაპარაკები, ეს რამდენად იქნება შესაძლებელი?***

– მე გაგახსენებთ იმ პერიოდს, როცა მოქალაქეთა კავშირი დაიშალა. მაშინ ჟვანიას და სააკაშვილის გუნდები ცალ-ცალკე წავიდნენ და ერთმანეთს საკმაოდ ღიად დაუპირისპირდნენ. 2003 წლის ნოემბერში გაერთიანდნენ და ერთად მოაწყვეს ვარდების რევოლუცია.

ამ ოთხი პარტიის გაერთიანება გაცილებით იოლი იქნება. მათ სალაპარაკო თემებიც კი ერთნაირი აქვთ. „ზუბრიაშკა“ ბავშვებივით ერთი და იგივეს იმეორებენ. ოთხივე პარტია ითხოვს, რომ რუსეთთან დიალოგი არ დაიწყოს. ოთხივე პარტია მხარს უჭერს ქართული მიწის გაყიდვას. ოთხივე პარტია მხარს უჭერს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. ოთხივე მათგანისთვის მისაღებია ფსევდოლიბერალური ღირებულებები. ოთხივემ ერთად შექმნა ის სისხლიანი 9 წელი.

აქედან გამომდინარე, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, ყველა ჯოხი მარტო სააკაშვილზე რომ ტყდება. ნაციონალების ფაშისტური იდეოლოგიის ავტორი გიგა ბოკერია იყო. ტერორი მისი მოფიქრებულია სწორედ. ვიღაცას თუ ჰგონია, რომ ბოკერიას ფრთა სახელის გამოცვლით შეიცვალა, ძალიან ცდება. მაგათ გინდა „ევროპული საქართველო“ დაირქვან, გინდა ყინწვისის ანგელოზები, მაინც მოძალადეებად დარჩებიან.

ხიბლში ჩავარდნილ ხელისუფლებას კი გაზაფხულზე ძალიან სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს.

***– ნაციონალებს უკავშირდება ეს გამოცდა?***

– გაზაფხულზე საქართველოში სერიოზული საპროტესტო აქციები დაიწყება. „ქართული ოცნება“ თუ ეროვნულ იდეოლოგიაზე არ დადგება, ძალიან ცუდად დაასრულებს. ხელისუფლება ფსევდოლიბერალებით არის გაძეძგილი. აქამდე ამას ამერიკის ზეწოლით ამართლებდნენ, მაგრამ ტრამპის მოსვლის შემდეგ ამას ვეღარ იტყვიან. ტრამპმა თავად გამოუცხადა ბრძოლა ფსევდოლიბერალიზმს. მათგან საქართველოც უნდა გათავისუფლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ დიდი უბედურება მოხდება.

მოდით, ისიც ვთქვათ, რა სიკეთე მოუტანეს ქვეყანას ხელისუფლებაში მოსულმა ფსევდოლიბერალებმა. თამარ ჩუგოშვილი და სოფო ქაცარავა გაუშვეს ევროსაბჭოში, რომელმაც საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუცია მიიღო. მათ საქართველოს პრეტენზია წაუყენეს იმის გამო, რომ სასამართლო პროცესები მიკერძოებულად ტარდება. სტრასბურში ჩვენი მოსამართლეების კანდიდატურები ჩავარდა, რაც ევროსასამართლოში ძალიან იშვიათად ხდება. ამის შემდეგ თეა წულუკიანმა ისეთი განცხადება გააკეთა, რომ მთლიანად სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია მოხდა.

***– რომელ განცხადებაზე საუბრობთ?***

– წულუკიანმა აღიარა, რომ არასამთავრობოებს საქართველოში უფრო მაღალი წონა აქვთ, ვიდრე იუსტიციის სამინისტროს.

***– ამის შესახებ თქვენც ხომ არაერთხელ გისაუბრიათ?***

– მისაუბრია და მართლაც ასეა, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამას იუსტიციის მინისტრი აღიარებს. გამოდის, რომ ქვეყანას არა ხელისუფლება, არამედ ამერიკის ელჩი და არასამთავრობოები მართავენ.

მინდა ისიც იცოდეს თქვენმა მკითხველმა, რომ დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სინამდვილეში არა ირაკლი კობახიძე, არამედ საიას გამოზრდილი თამარ ჩუგოშვილია. მე და რამდენიმე პიროვნებას რომ არ გვეაქტიურა, მას ოფიციალურადაც აირჩევდნენ ამ თანამდებობაზე. ჩვენ გამოვაქვეყნეთ მისი განცხადებები, გავიხსენეთ, რომ 26 მაისის დარბევას მან აუნთო მწვანე შუქი. სწორედ ამ დარბევამ გადააწყვეტინა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლა და აქედან გამომდინარე, ძალიან იყვირებდა ჩუგოშვილის სპიკერად არჩევა.

***– რატომ ფიქრობთ, რომ პარლამენტის რეალური თავმჯდომარე ჩუგოშვილია?***

– მინდა გაგახსენოთ საქართველოში სენატორ მაკეინის ვიზიტი, რომელიც ერთი თვის წინ შედგა. მასთან შეხვედრაზე ირაკლი კობახიძე არ მისულა. მაკეინმა გიორგი კვირიკაშვილიც კი გვერდზე გასწია და ჩუგოშვილს დაუწყო საუბარი.

ამის გარდა, ირაკლი კობახიძემ რაც არ უნდა შეხვედრა გამართოს, მას ყოველთვის ესწრება ეს ჩვენი ჩუგოშვილი. დაილია ამ პარლამენტში ვიცე-სპიკერები? შეხვედრას მშვენივრად დაესწრებოდნენ ვოლსკი, ძიძიგური ანდა ინაშვილი, მაგრამ იქ მხოლოდ ჩუგოშვილი შედის.

ასევეა აუდიტის სამსახურში, აქ პირველი „სტრუნა“ არასამთავრობოების წარმომადგენელი ნინო ლომჯარიაა. რა უბედურებაა მართლა? დროა, ხელისუფლებამ განმარტებები გააკეთოს. ცოტა ხნის წინ თავად ამბობდნენ, არასამთავრობოები ქვეყნისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან და ახლა ამ ხალხს თანამდებობებზე ნიშნავენ? გამოდის, რომ ხელისუფლებაც ასეთია. როგორც უკვე გითხარით, ტრამპის მოსვლის შემდეგ თავს იმით ვეღარ გაიმართლებს, რომ ეს მოთხოვნა ამერიკიდან მოდის.

აქედან გამომდინარე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ხელისუფლებას წამმზომი უკვე ჩართული აქვს. რამე თუ არ შეიცვალა, აქ დიდი ამბები დატრიალდება.

***– დიდ ამბებში იმ საპროტესტო აქციებს გულისხმობთ, რომელიც ზემოთ ახსენეთ?***

– აქციები აუცილებლად დაიწყება. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ვიღაცები აქ სპექტაკლის დადგმას აპირებენ. რაღაც ძალები შეეცდებიან, ამ საპროტესტო მოძრაობას თავში ჩაუდგნენ, რომ ის შემდეგ სხვა მიმართულებით წაიყვანონ.

***– რომელ ძალებზე საუბრობთ?***

– ამას ყველა დაინახავს გაზაფხულზე. ასეთი რამე საქართველოს უახლოეს ისტორიაში ერთხელ უკვე მოხდა. 2009 წლის 26 მაისი გაიხსენეთ, მაშინ ლამის იქამდე იყო საქმე მისული, რომ ხელისუფლება უნდა შეცვლილიყო და ქუჩაში გამოსული ხალხი პატრიარქთან მიიყვანეს.

პატრიარქი არავითარ შემთხვევაში არ ეტყოდა ხალხს, წადით და ხელისუფლება ჩამოაგდეთო. ეს წინასწარ იყო განსაზღვრული, რომ ჩაეხშოთ საპროტესტო მუხტი. ახლაც ემზადებიან ამ მუხტის მოსაკლავად.

***– თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ აქციები დაიწყება?***

– ხალხი ამ აქციების გამო არაერთხელ დარჩა იმედგაცრუებული. ამის მიუხედავად, აქციები მაინც დაიწყება. სოციალურ-ეკონომიკური ვითარება უკიდურესად მძიმეა. ათასობით ადამიანი სამსახურიდან გამოუშვეს. ეს ხალხი აუცილებლად გამოვა ქუჩაში და, შესაძლოა, საქმე ვადამდელ არჩევნებამდე მივიდეს.

# ქართველ სამხედროებს რუსებისგან პრეზიდენტი დაიცავს?

## მოსკოვმა 50-მდე ქართველ ოფიცერზე ძებნა გამოაცხადა

შორენა მარსაგიშვილი

ვიცეპოლკოვნიკ გია ცერცვაძის გარშემო ატეხილი სკანდალი გრძელდება. ცნობილი ხდება, რომ მან უკრაინას სთხოვა პოლიტიკური თავშესაფარი, რუსეთმა კი კიდევ ერთ ქართველზე – პოლკოვნიკ დავით მაყიშვილზე გამოაცხადა ძებნა. მანამდე რუსეთმა ზაზა ბერიანიძის დაკავებაზე გასცა განკარგულება.



გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვმა აგვისტოს ომში მონაწილე 50-მდე ქართველ სამხედროზე გამოაცხადა ძებნა.

მაყიშვილის საპასპორტო მონაცემები, ისევე, როგორც სხვა მებრძოლების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც მოსკოვი დევნას უცხადებს, რუსულ საიტებზეა გამოქვეყნებული.

დავით მაყიშვილი უკრაინაში იმყოფება და ის ქართული ლეგიონის წევრია. აღსანიშნავია, რომ რუსების შავ სიაში ძირითადად უკრაინაში მებრძოლი ქართული ლეგიონის წევრები მოხვდნენ.

ახლა ქართველი ოფიცრები იმის გარკვევას ცდილობენ, ეძებს თუ არა მოსკოვი მათ ინტერპოლის მეშვეობითაც. რუსთავი 2-თან საუბარში მებრძოლები ამბობენ, რომ ოკუპანტის ხელში ისეთი მონაცემებია, რომლებიც ძალოვან უწყებებში უნდა ინახებოდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გია ცერცვაძის შემდეგ სხვა მეომრებზე ძებნის გამოცხადებას არ ადასტურებს, თავდაცვის სამინისტროში კი მონაცემების უკანონო გაცემას კატეგორიულად გამორიცხავენ.

უკრაინის ხელისუფლება აცხადებს, რომ ისინი ბოლომდე დაიცავენ ქართველ სამხედროებს და, ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტა გია ცერცვაძემ, პოლიტიკური თავშესაფარი უკრაინისთვის ეთხოვა. ამის შესახებ ინფორმაცია ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ხერხეულიძემ გაავრცელა.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის 15 იანვარს უკრაინულმა მხარემ, ინტერპოლის მოთხოვნის თანახმად, კიევის აეროპორტში დააკავა საქართველოს მოქალაქე, ვიცეპოლკოვნიკი გია ცერცვაძე. საერთაშორისო უწყებამ ცერცვაძეზე ძებნა რუსეთის ფედერაციის მიმართვის შემდეგ დაიწყო. რუსეთი ცერცვაძეს 2003 წელს ქალაქ სოჭში მომხდარ განზრახ მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობას სდებს ბრალად.

გია ცერცვაძის დაკავებას პროტესტი მოჰყვა საქართველოში. საპარლამენტო უმცირესობა ხელისუფლებას რუსეთთან ფარულ გარიგებაში ადანაშაულებდა. 2017 წლის 26 იანვარს უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ გია ცერცვაძე გაათავისუფლა.

...

ამ თემასთან დაკავშირებით საზოგადოება კარგა ხანი ელოდა პრეზიდენტის მხრიდან პოზიციის დაფიქსირებას. მთავარსარდლის პოზიცია ერმა მხოლოდ 31 იანვარს მოისმინა.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტისთვის მნიშვნელოვანია, ქვეყანამ ქართველ ჯარისკაცთა ინტერესები დაიცვას.

– ძალიან მძიმეა იმის მოსმენა და გაგება, რომ საქართველოს მხრიდან გადაიცა ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეორდეს და, თუ არსებობს მსგავსი პრეცედენტები სხვა ჯარისკაცებთან მიმართებით, ერთმნიშვნელოვნად გიფიქსირებთ პრეზიდენტის აზრს, საქართველოს ყველა ჯარისკაცის დაცვა თავმოყვარე ქვეყნისა და სახელმწიფოს ვალია, – განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ.

# „საქართველოს მომავალი დასავლეთთან არის დაკავშირებული“

## გიორგი გაჩეჩილაძე: „ნატოში ამერიკის პოზიციები არ შესუსტდება“

გულიკო ბალაძე



**პარლამენტის წევრი და მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ სირიის ომი დაკავშირებულია იმ პროექტებთან, რომლის მიხედვით ყატარიდან და საუდის არაბეთიდან დიდი რაოდენობის გაზი ევროპაში უნდა წამოსულიყო. ეს კი ევროკავშირის ქვეყნებს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგან გაათავისუფლებდა.**

მისი განცხადებით, ენერგოპროექტებთან არის დაკავშირებული ყირიმის ანექსიაც. ამიტომ რუსეთი ბოლომდე იბრძოლებს.

***— ბატონო გიორგი, როგორ აღიქვამთ ამერიკის ახალი პრეზიდენტის ტრამპის განცხადებებს, რომ რუსეთთან ერთად აპირებს პრობლემების მოგვარებას ახლო აღმოსავლეთში?***

— სირიაში მიმდინარე პროცესები დაკავშირებულია არსებულ პროექტებთან, რომლის მიხედვითაც ყატარიდან და საუდის არაბეთიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის გაზი ევროპაში უნდა წასულიყო. ეს რუსეთისთვის ძალიან სერიოზული პრობლემაა, რადგან ყატარს უზარმაზარი რესურსი აქვს. ყატარს საუდის არაბეთთან ერთად შეუძლია ევროპაში რუსეთის გაზის იმპორტი ჩაანაცვლოს და, საერთოდ, ამოაგდოს ევროკავშირის ბაზრიდან. ამის ხელისშემშლელი იყო და არის ასადი და მისი რეჟიმი, რომლის არსებობას მხარს უჭერს რუსეთი. ამიტომ სირიის კონფლიქტი არის ასადის ჩამოსაგდებად და ისეთი ხელისუფლების მოსაყვანად, რომელიც საუდის არაბეთსა და ყატარს აწყობთ.

***— ტრამპის განცხადება ისე უნდა გავიგოთ, რომ შეეცდება, რუსეთი თავის სქემებზე დაიყოლიოს?***

— ვფიქრობ, აშშ-ის პრეზიდენტი (არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება, ტრამპი თუ სხვა) ყოველთვის იქნება იმ პოზიციის მომხრე, რომელიც ევროკავშირის რუსეთისაგან ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვებას შეუწყობს ხელს. ბუნებრივია, აშშ-სა და რუსეთს შორის თანამშრომლობა არც ისე ადვილი იქნება დღევანდელი ამერიკის ადმინისტრაციისთვის. რუსეთის პოზიციაა, შეინარჩუნოს დღევანდელი სირიის ხელისუფლება, არ მისცეს საშუალება ყატარსა და საუდის არაბეთს, აღნიშნული პროექტი განახორციელონ.

საუდის არაბეთი და ყატარი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ როგორმე ასადის ხელისუფლება ჩამოიშორონ. ამიტომ ეს არის გაუთავებელი პროცესი. ამიტომ არა მგონია, აშშ-მა რუსეთის პოზიციას დაუჭიროს მხარი, რომ ის ხელისუფლება, რომელიც დღეს სირიაშია, შენარჩუნებული იყოს. ეს არის ურთულესი საკითხი.

შეგახსენებთ, რომ ერთადერთი ბაზა, რომელიც რუსეთს აფხაზეთის, ცხინვალის გიურმის გარდა გააჩნია, არის სირიის სამხედრო ბაზა. რუსეთს ახლა ორი ამოცანა აქვს, შეინარჩუნოს სირიის ბაზა და არ მისცეს უფლება საუდის არაბეთსა და ყატარს, ევროკავშირის ქვეყნებს გაზი მიაწოდონ.

***— ძალიან არის აცდენილი ერთმანეთს ამერიკისა და რუსეთის ინტერესები.***

— დიახ, აცდენილია. ორი დღის წინ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა და აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ისევ გაგრძელდება. რასაც აშშ-ის პრეზიდენტი ამბობდა წინასაარჩევნო პერიოდში, ფაქტობრივად, იმის საპირისპირო ითქვა, შემობრუნება ხდება. ყველა ქვეყანას აქვს თავისი ინტერესები. მხოლოდ ტრამპზე არ არის დამოკიდებული აშშ-ის გადაწყვეტილებები. აშშ-ში მოქმედებს მძლავრი ინსტიტუტები, რომელიც ამერიკულ ინტერესებს იცავს. იქ სენატია, კონგრესია.

***— დიახ, სასამართლომ გაუუქმა ტრამპს ლტოლვილების მიღებაზე უარის გადაწყვეტილება. შეერთებულ შტატებში არავინ არ მისცემს საშუალებას ახალ პრეზიდენტს, ის განახორციელოს, რასაც წინასაარჩევნო პერიოდში ამბობდა. არავინ დაუშვებს, რომ ნატოში ამერიკის პოზიციები დასუსტდეს.***

— ისრაელის სპეცსამსახურების ყოფილმა შეფმა განაცხადა, რომ ნატოს დაშლის საფრთხე ემუქრება. თუმცა, ინფორმაცია რამდენად სანდოა, არ ვიცი, რადგან რუსული მედია ავრცელებდა.

***— არა მგონია. ნატოს დაშლით შეიძლება ვითარება მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს. ნატო შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და არის სტაბილურობის გარანტი. ნატო არის შეიარაღების, ეკონომიკისა და ფინანსური თვალსაზრისით ძლიერი ქვეყნების გაერთიანება, რომელიც ცდილობს სტაბილურობა შეინარჩუნოს, რომ გლობალურ ომში არ გადაიზარდოს დედამიწაზე არსებული ძალიან ცუდი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ზოგს ჰგონია, მხოლოდ საქართველოშია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, კრიზისმა ძალიან ბევრ ქვეყანას დაარტყა. მათ შორის, ყველაზე ძლიერ ეკონომიკებსაც კი.***

ცუდი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ყოველთვის იწვევს ვითარების ძალიან მძლავრ დაპირისპირებაში გადაზრდას. ნატოს არსებობა აუცილებელია, დედამიწაზე მესამე მსოფლიო ომი რომ არ დაიწყოს. ნატოსთან ურთიერთობა ჩვენთვის იმიტომ არის მომგებიანი, რომ ნატო ჩვენი უსაფრთხოების გარანტია.

სირიაში არსებულ დაპირისპირებაში ძირითადი პრობლემა საუდის არაბეთისა და ყატარის გაზსადენებია. თუ რუსეთმა დათმო, პერსპექტივაში რუსეთს ელის ძალიან დიდი პრობლემები. თუ ევროკავშირს გაზი ყატარიდან და საუდის არაბეთიდან მიეწოდება, რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება.

***— როგორ შეიძლება ამერიკამ და რუსეთმა შეთანხმებას მიაღწიონ? რის სანაცვლოდ შეიძლება დათანხმდნენ რუსები ასადის გაწირვას?***

— ძალიან ძნელი იქნება შეთანხმება. თუ შეთანხმდებიან კოალიციურ ხელისუფლებაზე, როგორ იქნება გათვალისწინებული სხვა ქვეყნების ინტერესები, რომლებიც ჩართული არიან ამ კონფლიქტში? ძალიან რთული პროცესია.

***— ტრამპის წინასაარჩევნო განცხადებები რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების თაობაზე, ერთგვარი ლავირებისთვის ხომ არ კეთდებოდა?***

— წინასაარჩევნო პიართან გვაქვს საქმე. თქვენ თვითონ ნახეთ, რა განცხადება გააკეთა ტრამპმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ერთად. ორივე რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელებას ეთანხმება. რუსეთში ახლა ეკონომიკური კრიზისია. რუსეთის შემოსავლის უდიდესი ნაწილი არის ბუნებრივი რესურსების ექსპორტი ქვეყნიდან. თუ ესეც ჩაეკეტა, მაშინ საშინელება იქნება. კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნება.

***— შეიძლება სოციალური აფეთქება მოხდეს?***

— ეს ძალიან რთული პროცესია. საშიშია, პროცესებმა გლობალური სახე არ მიიღოს, მაგრამ ამას ხელს უშლის ნატო. ამიტომ რუსეთისთვის ნატოს არსებობა ხელისშემშლელი ფაქტორია.

***— თუკი ამერიკა და რუსეთი გარკვეულ საკითხებში შეთანხმდებიან, საქართველოს ინტერესები დღევანდელი მსოფლიოს ლაბირინთებში როგორ შეიძლება იყოს დაცული?***

— საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი მომავალი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკის, ნატოსა და ევროკავშირის პარტნიორობასთან. ჩვენი ინტერესები თანხვედრილია. გარედან ისე ჩანს, თითქოს მხოლოდ საქართველოა დაინტერესებული ამ ურთიერთობით. ასევე დაინტერესებულია აშშ და ევროკავშირიც ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე. ჩვენს ტერიტორიაზე უნდა გავიდეს ალტერნატიული ხაზი ნავთობსადენებისა და გაზსადენებისა, რომელიც პერსპექტივაში, შეიძლება, ევროკავშირისთვის რუსეთისაგან ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გარანტი გახდეს.

პერსპექტივაში საქართველოზე გათვალისწინებულია თურქმენეთის, ყაზახეთისა და სხვა ქვეყნების გაზსადენების გატარება. ამასთან ერთად, ევროკავშირი ძალიანაა დაინტერესებული რუსეთის გვერდის ავლით, აბრეშუმის გზით ტვირთების გადაზიდვით. ამაზე შეთანხმებას ხელი უკვე მოეწერა. რამდენიმე მატარებელმა გაიარა კიდეც. შეიქმნა აბრეშუმის გზის 40-მილიარდიანი ფონდი.

***— ე.ი. ორმხრივი ინტერესები არის?***

— დიახ, ორმხრივი ინტერესია. ამიტომ გაიხსნა საქართველოში „ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი“. ახლა ჩვენ ჩავერთეთ შავი ზღვის უსაფრთხოების სისტემაში, როგორც ერთ-ერთი მხარე. ესეც ნატოს პროგრამაა, რომელიც უზრუნველყოფს შავი ზღვის, ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნების უსაფრთხოებას.

ძალიან მნიშვნელოვანია ტრამპისა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის განცხადება რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელებაზე. რუსეთის მიმართ სანქციები მანამდე გაგრძელდება, სანამ უკრაინის პრობლემა არ მოგვარდება. უკრაინის ტერიტორიული პრობლემების მოგვარება საქართველოსთან არის დაკავშირებული.

***— საქართველოსთან ომის გამო რუსეთისთვის არც სანქციები დაუწესებიათ და არც ახლა ახსენებენ ჩვენს პრობლემებს. უკრაინის პრობლემები ჩვენთან როგორ არის დაკავშირებული?***

— უკრაინის პრობლემები საქართველოსთან არის დაკავშირებული. უკრაინასთან კონფლიქტის წამოწყების მიზანი რუსეთის მხრიდან ყირიმის ანექსია იყო. ყირიმი რუსეთს უნდოდა არა მარტო იმის გამო, რომ იქ ერთ-ერთი ყველაზე დიდი შავი ზღვის სამხედრო ბაზა აქვს, არამედ იკვეთება გაზსადენებთან დაკავშირებული საკითხი.

არსებობდა უზარმაზარი გაზსადენის პროექტი „თეთრი ნაბადი“, რომლითაც 32 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა გატარებულიყო შუა აზიიდან, თურქმენეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით, შავი ზღვით. მილსადენი უნდა წასულიყო უკრაინაში. უკრაინიდან კი ბულგარეთსა და რუმინეთში, სადაც რუსეთს აქვს 100%-იანი წილი გაზის მომარაგებაში.

უკრაინაზე ამ მილსადენის გატარებით, უკრაინა თავისუფლდებოდა რუსეთის გაზზე დამოკიდებულებისაგან, ბულგარეთსა და რუმინეთშიც შედიოდა ისეთი რაოდენობის გაზი, რომ რუსეთის გაზი საჭირო აღარ იქნებოდა. ამ გზით აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთი კარგავდა თავის ენერგეტიკულ გავლენას. ეს რომ არ მომხდარიყო, ყირიმის ანექსია იყო აუცილებელი.

***— რომ ეკონტროლებინა?***

— წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი კარგავდა მილსადენზე გავლენას. ყველა ქვეყანას აქვს თავისი ეკონომიკური ზონა შავ ზღვაში. სანამ ყირიმი იყო უკრაინის შემადგენლობაში, მას ჰქონდა შავ ზღვაში მილსადენების განლაგების უფლება. როგორც კი ყირიმის ანექსია მოხდა, პროექტის განხორციელება ჩავარდა. ყირიმი იურიდიულად უკრაინის ხელშია, ფაქტობრივად — რუსეთის ხელში. რუსეთს ამ პროექტის ჩაგდების ინტერესი ჰქონდა, რაც მოახერხა კიდევაც ყირიმის ანექსიით.

# ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთის პოლიტიკაში ბრუნდება

მარიამ მჭედლიშვილი

**12 მარტს ანექსირებულ აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული. არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა აფხაზეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ექსპრემიერმა და ბიზნესმენმა ალექსანდრე ანქვაბმა.**



ანქვაბს მანამდე წერილობით მიმართა რამდენიმე პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ. ეს ორგანიზაციები დეკემბერში მწვავედ დაუპირისპირდნენ ფაქტობრივ პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას და გადადგომისკენ მოუწოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის ქუჩაში გამოყვანით დაემუქრნენ. ეს კრიზისი დროებით დაიძლია. ოპოზიციამ სხვადასხვა თანამდებობა და ხელისუფლებაზე კონტროლის ბერკეტები მიიღო. ამასთან, ხაჯიმბას ოპონენტებმა აღნიშნეს, რომ ბრძოლას არ წყვეტენ და ემზადებიან საპარლამენტო არჩევნებისათვის.

რადიკალურად განწყობილმა პარტია ამცახარამ, ასევე საზოგადოებრივმა ორგანიზაცია აიტაირამ, რომელიც 2 000 წელს ანქვაბმა დააარსა, სხვა არასამთავრობო გაერთიანებებმა, მათ შორის, ასლან ბჟანიას ფონდმა აპრამ, გაავრცელეს მიმართვა, რომელშიც ალექსანდრე ანქვაბის პარლამენტში ყოფნის აუცილებლობაზეა საუბარი:

— დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი მონაწილეობა ახალი მოწვევის პარლამენტის მუშაობაში იქნება არა მხოლოდ საზოგადოებაში არსებული განხეთქილების დაძლევის, არამედ აფხაზეთისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივების აქტიურად დაყენების დასაწყისი.

მიმართვის ავტორების აზრით, აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანო საზოგადოების ყველა ფენას უნდა წარმოადგენდეს. მასში უნდა შევიდნენ გამოცდილი კვალიფიციური სპეციალისტები, გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც აქვთ აფხაზეთის მოქალაქეთა რეალური მხარდაჭერა.

ალექსანდრე ანქვაბმა არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, რის შემდეგაც საინიციატივო ჯგუფის წინადადების საფუძველზე აფხაზეთის ცესკომ იგი რეგისტრაციაში გაატარა სოხუმის მე-3 საარჩევნო ოლქში.

კანდიდატების წამოყენების ვადა 10 თებერვალს სრულდება. კანდიდატები უკვე წამოაყენა 100-ზე მეტმა საინიციატივო ჯგუფმა.

ალექსანდრე ანქვაბი პრეზიდენტის პოსტიდან 2014 წლის ცნობილი მოვლენების შედეგად გადადგა. მანამდე მან გაიმარჯვა ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში. ვადამდელი არჩევნები დაინიშნა სერგეი ბაღაფშის გარდაცვალების გამო. ალექსანდრე ანქვაბი და სერგეი ბაღაფში მრავალი წლის განმავლობაში ერთმანეთის თანამოაზრეები იყვნენ. ბაღაფში საეჭვო ვითარებაში მოსკოვში გარდაიცვალა. ალექსანდრე ანქვაბი კი, აფხაზეთში მუშაობისას ბევრჯერ გამხდარა თავდასხმის ობიექტი.

მოვლენები, რომლებიც აფხაზეთში 2014 წლის 27 მაისიდან 1 ივნისამდე განვითარდა, აფხაზეთში სახელმწიფო გადატრიალებად შეფასდა. მას ანქვაბის წასვლა და ხაჯიმბას პრეზიდენტობა მოჰყვა. არადა, ხაჯიმბა არასდროს ყოფილა რეიტინგული და პოპულარული აფხაზეთის მოსახლეობაში.

აფხაზეთის „რევოლუციის“ შემდეგ ანქვაბი რუსეთში ბიზნესსაქმიანობით იყო დაკავებული და აფხაზეთში თითქმის არ ჩამოდიოდა. 2014 წლის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში ანქვაბმა მხარი დაუჭირა ასლან ბჟანიას კანდიდატურას. ასლან ბჟანია განსაკუთრებულად აქტიურობდა ბოლოდროინდელ ხაჯიმბას საწინააღმდეგო გამოსვლებში. დეკემბრის გამოსვლებამდე იგი სოჭში რუსეთის პოლიციელებმა დააკავეს და რამდენიმე დღის შემდეგ გაათავისუფლეს.

ალექსანდრე ანქვაბის დაბრუნება აქტიურ პოლიტიკაში ახალ მოვლენებს მოასწავებს. მისი პოლიტიკური მომავალი მხოლოდ დეპუტატობას არ უნდა უკავშირდებოდეს.

# დივერსია დევნილების წინააღმდეგ

## რა საფრთხეებს შეიცავს სუბარის სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი

შორენა მარსაგიშვილი



გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და დევნილთა სამინისტრომ შეიმუშავა დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი ახალი დოკუმენტი (პროექტი), რომელშიც ჩამოთვლილი მუხლების საფუძველზე აფხაზეთიდან დევნილებს შეუწყდებათ დევნილთა შემწეობა. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში გაიმართა მსჯელობა, სადაც პროექტის არსებული ვერსია უარყოფითად შეფასდა.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა „ახალ თაობასთან" საუბარში აცხადებს, რომ ამ დოკუმენტმა საქართველოს, შესაძლოა, დიდი ზიანი მოუტანოს.

**გია გვაზავა:**

– ძალიან ცუდია, რომ სამინისტრო ამ პროექტში პოლიტიკურ კონტექსტს ვერ ან არ ხედავს. აფხაზეთი თავიდან ბოლომდე პოლიტიკაა, ამიტომაც უფრო მეტი გონიერება გვმართებს. ჩემთვის ამ პროექტის ყველა მუხლი მიუღებელია. თუნდაც ის ფაქტი, რომ ოფიციალურად ეს პროექტი ჩვენთან არც მოსულა, ჩვენ თვითონ მოვიპოვეთ... პროექტის ავტორებს რომ უფრო ღიად ემუშავათ ამ პრობლემებზე, ასე საჯილდაო არ გახდებოდა.

ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია ის სტატისტიკური ანალიზი, რომლის საფუძველზეც დათვლილია, თუ რამდენი ადამიანი გამოაკლდება (ბუნებრივი სიკვდილით) ყოველწლიურად სახელმწიფო შემწეობის მიმღებთა რიცხვს, რამდენი „მეორე თაობის" დევნილით არ გაიზრდება სახელმწიფო შემწეობის მიმღებთა რიცხვი და რა ეკონომიკური ეფექტი მოჰყვება ამ პროცესებს.

ეს არ არის მხოლოდ ფისკალური საკითხი. ეს პოლიტიკური დივერსიაა, რომელშიც შორსმიმავალი გეგმებია ჩამალული – უახლოეს მომავალში დასათვლელი დარჩება „ნამდვილი" დევნილი, ანუ ის ხალხი, რომელსაც კანონიერი საფუძველი და პრეტენზია ექნება საკუთარ სახლებში დაბრუნებისა, რის უფლებასაც მოკლებული იქნებიან მათი შვილები და შვილიშვილები. ეს არის პირველი პრაქტიკული ნაბიჯი დევნილებისთვის პოლიტიკური სტატუსის მოსახსნელად, ანუ, ფაქტობრივად, არის დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნების პოლიტიკური საფუძვლების ნიველირება! ეს არანაირად არ არის საქართველოს ინტერესებში, არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში. მაშინ, მიჩნდება კითხვა – ვის სჭირდება ეს.

***– პოლიტიკური კუთხით გაუმართლებლად მიგაჩნიათ. ფისკალური კუთხით როგორ არის საქმე?***

– არც ფისკალური კუთხით არის გამართლებული. არ შეიძლება ღარიბებით ღარიბების რჩენა, ანუ ერთ დევნილს წაართვა და მეორე დევნილს მისცე. აქ ლაპარაკი არ არის მაღალხელფასიან დევნილებზე, თუმცა ოჯახში შეიძლება მხოლოდ ეს ერთი ე.წ. მაღალი ხელფასი იყოს შემოსავალი. მხოლოდ მაღალი ხელფასის დანახვა და სხვა გარემოების გაუთვალისწინებლობა ზერელე მიდგომაა. დამიჯერეთ, ვიცნობ ოჯახებს, 5 და მეტსულიანებს, სადაც სრული უმუშევრობის ფონზე საარსებო წყარო მხოლოდ ეს შემწეობაა, ან, როგორ შეიძლება, შემწეობა წაართვა ადამიანს იმ მოტივით, რომ ამის შემდეგ ის უფრო იაქტიურებს ფინანსების დამოუკიდებლად მოპოვებისათვის. წინა მინისტრსაც შევთავაზეთ სახელმწიფო დახმარების ჩვენი ვარიანტი, მაგრამ მან ყურად არ იღო...

***– რას გულისხმობთ?***

– რას და სახელმწიფო შემწეობა, როგორც განმასხვავებელი პოლიტიკური დატვირთვის ნიშანი, სიმბოლურად მაინც უნდა შეუნარჩუნდეს ყველა კატეგორიას, ხოლო თუ ნამდვილად გვინდა დევნილთა დახმარება, ვფიქრობ, ჯობდა დევნილთა დახმარების ფონდის შექმნა, სადაც საქართველოს ყველა საჯარო მოხელე, რომელთა ხელფასიც აღემატება 1250 ლარს, წინასწარი შეთანხმებით გადარიცხავდა შემოსავლის გარკვეულ პროცენტს – 0,1 ან 0,5 ან სხვ... არც ახლაა გვიან ამის გათვალისწინება.

შემწეობის მოხსნის ერთ-ერთ მიზეზად დევნილთა ინტეგრირებაა მოყვანილი. ესეც მორიგი აბსურდი! დევნილების ე.წ. ინტეგრაციაზე წინა ხელისუფლებაც იყო „ორიენტირებული". ისეთ ინტეგრაციაზე ხომ არ არის ლაპარაკი, რომ მერე აფხაზეთში დამბრუნებელი აღარავინ დარჩეს?!

***

ეს პროექტი არც უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე რაისა ქარაიასთვის არის მისაღები.

**რაისა ქარაია:**

– კატეგორიულად არ ვეთანხმები დევნილების ხარჯზე ეკონომიასა და ქამრების შემოჭერას. არც ის მუხლია ჩემთვის დამაჯერებელი, რომ გამოთავისუფლებული თანხა დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების აშენებას მოხმარდება. თავის დროზე მონდომება რომ ყოფილიყო, ასეთი სტრატეგია მართლაც განხორციელდებოდა – დონორმა ქვეყნებმა ამ საკითხის მოსაგვარებლად საკმარისი თანხები გაიღეს, თუმცა საქართველომ დევნილთა პრობლემებზე მეტად სხვა საკითხები მიიჩნია პრიორიტეტულად, ახლა კი ისევ სოციალურად დაუცველ დევნილთა ხარჯზე უნდათ ამის განხორციელება.

თითქმის ყველა მუხლი დისკრიმინაციულია ამ პროექტში. რომელი ერთი ვთქვა! ვერ დავეთანხმები პრინციპს, რომლის თანახმადაც, ზღვრული ნორმის ზემოთ შემოსავლის მიღების შემთხვევაში დევნილს ეხსნება შემწეობა, ამ დროს კი არ არის გათვალისწინებული შემოსავლის სტაბილურობა, არ არის გათვალისწინებული შვებულებაში გასვლის ნიუანსიც, როცა ერთბაშად ირიცხება ორი თვის ხელფასი. ცხადია, ხშირ შემთხვევაში ეს თანხა ზღვრულ „ნორმას" გადასცდება და შემწეობაც იმ თვეში არ ირიცხება! იგივე ხდება საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი თანხის შემთხვევაშიც – ვინ იცის, როგორი წვალებისა და კატორღული შრომის ფასად აწვდის დევნილი ახლობლებს თავის გამომუშავებულ ხელფასს. ეს სწორია? ერთ-ერთ მუხლში შემწეობის გასაცემი ზღვრული ნორმა 165 ლარამდეა დაწეული. როგორ, ომგამოვლილ პენსიონერსაც აღარ ეკუთვნის 45 ლარი? ეს აბუჩად აგდებას უფრო ჰგავს!

ასევე უსამართლობაა, რომ დევნილის შემწეობის 2 წლის წინასწარ აღების შემთხვევაში დევნილმა ამ თანხის ლამის ნახევარი უნდა დაუბრუნოს სახალხო ბანკს, ან კიდევ, შემწეობის მოხსნის შემთხვევაში, დევნილმა უნდა მიმართოს სოციალური დახმარების სააგენტოს. უკაცრავად, მაგრამ რომელ სააგენტოს? რომელიც ძალიან სუბიექტური და მყიფეა და გადახედვას საჭიროებს? ამასწინათ ერთ მარტოხელა დევნილს, ინვალიდ პენსიონერს, რომელიც, ფაქტობრივად, წამლებზე ცხოვრობს, ძველი ტელევიზორი და სამზარეულოს კარადა ვაჩუქე, რის გამოც სოციალური დახმარება მოუხსნეს... როგორ მივანდოთ ამის მერე დევნილები სოციალურ სააგენტოს? გამორიცხულია.

***– დევნილების დაყოფას თაობების მიხედვით აპირებენ. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ვერ შევეგუები დევნილთა დაყოფას თაობების მიხედვით. როგორ შეიძლება „მეორად" და „უშუალო" დევნილებად დიფერენცირება! ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს რატომ არ ეკუთვნით შემწეობა? დევნილის სტატუსი? რისკის ფასად სიცოცხლეშენარჩუნებული, დათრგუნული და ფსიქოლოგიურად განადგურებული დევნილის შვილს როგორ უნდა დააყვედრო 45 ლარი? ეს 45 ლარიც ისეა გაუფასურებული, სოციალურ დახმარებასაც ვერ დავარქმევ. ამ მუხლის ამაზრზენობა კი იმაშია, რომ თურმე დევნილის შემწეობის მიმღები ბენეფიციარების რაოდენობა ყოველწლიურად 5000 ადამიანით არ გაიზრდება. აბა, რა უნდა ვუწოდო ამას, თუ არა ცინიზმი?! სირცხვილი იმას, ვინც ასეთი გათვლა გააკეთა!

ან ინტეგრირება რას მიქვია? ჩვენ ისედაც ვართ ინტეგრირებულები, საქართველოში ვცხოვრობთ, უცხოეთში ხომ არა ვართ, რომ რაიმე ახალს შევეგუოთ! რა საჭიროა ამისთვის დევნილის სტატუსის გაუქმება? სტატუსის გარეშე ვინ დაგვაბრუნებს აფხაზეთში? და თუ ჩვენი შვილები და შვილიშვილები არ დაბრუნდებიან, მაშინ ვინ უნდა დაბრუნდეს, ვინ უნდა იცხოვროს იქ? რისთვის გვინდა აფხაზეთის დაბრუნება, თუ აფხაზეთში ქართველის ფეხი ამოიძირკვა? ესეც რომ არა, დევნილის არარსებობით, ფაქტობრივად, დე ფაქტო ხელისუფლებას ვაღიარებთ! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს შორს გამიზნული გეგმაა ჩადებული ამ პროექტში, რომელსაც აფხაზეთის აღიარებამდე მივყავართ. აი, სტრატეგია! რომელი დევნილი დაეთანხმება ამას!

# თიბისი ბანკმა საზოგადოებას სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების ანგარიში წარუდგინა

ბოლო 2 წლის განმავლობაში თიბისი ბანკმა ასობით პროექტი განახორციელა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. ამ პროექტების ანგარიში საზოგადოებას თიბისი გალერეაში წარუდგინეს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა თიბისი ბანკისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა. ინვესტიციებისა თუ პოლიტიკის მხრივ თიბისი ისეთი საერთაშორისო ბანკების პრაქტიკას უტოლდება, როგორებიც არიან Barclays, HSBC, Deutche Bank და სხვები.

მხარდაჭერილი პროექტები მრავალფეროვანია: ბიზნესის განვითარება და ხელშეწყობა, ნიჭიერი ახალგაზრდების განათლება და პროფესიული განვითარება, კულტურა, ხელოვნება, სოციალურად აქტუალური თემები, რაგბის პოპულარიზაცია და სხვ.




ქართული ბიზნესსექტორისთვის სიახლე იყო თიბისი გალერეაში წარდგენილი ანგარიშიც. პირველი შემთხვევაა, როდესაც კერძო კომპანია საზოგადოებას წარუდგენს ანგარიშს სოციალური პასუხისმგებლობის ქოლგის ქვეშ განხორციელებული პროექტების შესახებ. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, ბანკი ვალდებულებას იღებს, ანგარიში რეგულარულად ჩააბაროს საზოგადოებას.

გარდა ამისა, თიბისი გამოირჩევა თანამშრომლებზე ორიენტირებული სოციალური პროექტებითაც - – პროფესიული განვითარების პროგრამები, რომლებიც უცხოეთში სწავლას მოიცავს, თიბისი აკადემია, ფონდი „თიბისელები თიბისელებისთვის", მრავალშვილიანების ფინანსური წახალისება და სხვა.

პრეზენტაციაზე შეკრებილ ადამიანებს საშუალება ჰქონდათ, ენახათ ვიდეორგოლი, სადაც ყველა ის მნიშვნელოვანი ინიციატივა მოხვდა, რომლებიც 2015-16 წლებში თიბისის მხარდაჭერით შედგა. განხორციელებული პროექტები ბანკისთვის პრიორიტეტულ 4 მიმართულებაში გაერთიანდა: ბიზნესის მხარდაჭერა, ახალი თაობა, კულტურა და რაგბი.

**მამუკა ხაზარაძე, თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:**

– თიბისელობა არ ნიშნავს, იყო მხოლოდ ჩვენი ბანკის თანამშრომელი. ჩვენ თიბისელად მიგვაჩნია ყველა ის ადამიანი, რომლებიც ჩვენს ხედვასა და ღირებულებებს იზიარებენ. ვფიქრობთ, ჩვენ ყველას სოციალური პასუხისმგებლობა გვაერთიანებს, თითოეული თქვენგანი თანამონაწილეა იმ კარგი წამოწყებებისა, რომლებსაც ერთად ვახორციელებთ.

**ნინო ანანიაშვილი, პრიმაბალერინა, საქართველოს სახალხო არტისტი:**

– მნიშვნელოვანია, რომ გვერდით გვიდგას ისეთი დიდი კომპანია, როგორიც თიბისი ბანკია. ჩვენ ერთად განვახორციელეთ რამდენიმე დიდი პროექტი და მადლიერები ვართ იმისა, რომ თიბისი ბანკი არის ჩვენი პარტნიორი. ვიმედოვნებთ, ჩვენი მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება. ყველა ქვეყანაში კულტურას სპონსორობას უწევენ კერძო სექტორები, საქართველოში კი – მხოლოდ სახელმწიფო. თიბისი ბანკი ამ მხრივ გამონაკლისია და, სასურველი იქნება, თუ მას სხვებიც მიბაძავენ.

თიბისი ბანკი მომავალშიც გააგრძელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში პროექტების მხარდაჭერას. 2017 წლის აქცენტები კვლავ იქნება ბიზნესის მხარდაჭერა, ახალი თაობა, კულტურა და რაგბი.

# გურამ იმნაძე: „ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება“

ნათია ხურცილავა

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის“ ცენტრის წარმომადგენელი, იურისტი გურამ იმნაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ე.წ. ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტზე საუბრობს.

***– ე.წ. ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რამდენად ეწინააღმდეგება ხელისუფლების ინიციატივა, რომ შეიქმნას დამოუკიდებელი უწყება?***

– რა თქმა უნდა, ცალსახად ვეწინააღმდეგებით წარმოდგენილ კანონპროექტს, რადგან ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

***– ვიცესპიკერი ვოლსკი აცხადებს, რომ არასამთავრობო სექტორი იმთავითვე ანტაგონისტურად იყო განწყობილი. ხელისუფლება აპელირებს ისეთი საკითხით, როგორიც არის უსაფრთხოება. სად არის ოქროს შუალედი ადამიანის უფლებებსა და რეალურ საფრთხეს შორის?***

– პირველ რიგში, ვისაც რა უნდა, ის თქვას, ჩვენს დამოკიდებულებებს უწოდოს „წინასწარი განწყობები“ და ა.შ. თუმცა, ხელისუფლებას რომ მოესმინა საზოგადოებისთვის და კამპანია „ეს შენ გეხებასთვის“, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა აღარც დაგვჭირდებოდა. ჩვენი დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა და ჩვენი სარჩელი დააკმაყოფილა. ასევე იმავე პოზიციაზე იყო სახალხო დამცველი. შესაბამისად, არასამთავრობო სექტორის მოთხოვნები ხელისუფლებისთვის ყურადსაღები და გასათვალისწინებელი იყო. ცხადია, სამოქალაქო საზოგადოება აბსოლუტურად აცნობიერებს იმ რისკებს, რომლებიც შეიძლება ქვეყანას გააჩნდეს უსაფრთხოების თვალსაზრისით. თუმცა, აუცილებელია გონივრული ბალანსის დაცვა უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებს შორის. ხელისუფლებას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფის პირდაპირი ვალდებულება აქვს. სწორედ ასეთი გონივრული ბალანსის მიღწევის შესაძლებლობას იძლეოდა ის კონცეფცია, რომელიც ჩვენ წარვუდგინეთ პარლამენტს და რომელიც აბსოლუტურად კონსტრუქციული იყო.



***– თქვენი მოდელი რას ითვალისწინებდა?***

– ჩვენ ვთავაზობდით ხელისუფლებას, რომ, ე.წ. შუალედური მოდელის თანახმად, შექმნილიყო პარლამენტის დაქვემდებარებაში სახელმწიფო უწყება, რომელიც სერვისის სახით განახორციელებდა მოსმენებს.

***– დღეს რამდენად არის შესაძლებელი, რომ გონივრული შუალედი იქნეს მიღწეული? თუ ფიქრობთ, რომ მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს, რადგან ხელისუფლება ცდილობს, მესამე სექტორის აზრის იგნორირება მოახდინოს?***

– თეორიული შანსი არსებობს, მით უფრო, იმ ფონზე, როდესაც ჯერ კანონპროექტის ინიცირებაც კი არ მომხდარა. ჯერ მხოლოდ კონცეფციაზეა საუბარი. თუმცა, იმ შეხვედრიდან გამომდინარე, რომლებიც გაიმართა, ყველა უწყების წარმომადგენელი და საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები წინასწარ გამოხატავდნენ თანხმობას და იქმნებოდა განცდა, რომ სამუშაო ჯგუფის შეხვედრამდეც მათ კარგად იცოდნენ ერთმანეთის პოზიციები და იმ ვერსიის შესახებ, რომელზეც მუშაობა დაიწყებოდა. რასაკვირველია, ამგვარი მდგომარეობა ოპტიმიზმის საფუძველს გვიკარგავს. ეს ადამიანები აბსოლუტურად უჭერენ მხარს წარმოდგენილ ვერსიას. ამდენად, საკომიტეტო მოსმენებსაც უკვე, ვფიქრობ, აზრი ეკარგება.

***– პრეზიდენტთან რამდენად წარმოგიდგენიათ თანამშრომლობა, რადგან წარმოდგენილ ვერსიას არ ეთანხმება პრეზიდენტი და გამორიცხავთ, ვეტო იქნეს გამოყენებული მისი მხრიდან?***

– ცხადია, ჩვენ პრეზიდენტთან თანამშრომლობას არ გამოვრიცხავთ. ჯერ პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც სჭირდება გონივრული დრო, რომ შეაფასოს ის რისკები, რომლებიც შეიძლება ახლდეს ამ ყველაფერს. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, პირველი, თუ რა ვითარებაში მოხდება კანონპროექტის მიღება, შემდეგ პრეზიდენტს რა პოზიცია ჩამოუყალიბდება მიღებულ კანონპროექტზე.

***– დამოუკიდებელი უწყება, რომელიც შეიქმნება და რომელიც ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტთან და პრემიერთან, ფიქრობთ, რომ ეს ქმნის, გარკვეულწილად, რისკებს?***

– სწორედ ეს არის მთავარი საკითხი. რეალურად სწორედ ამაზეა ყურადღება გამახვილებული.

***– ვის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული ეს უწყება?***

– როგორი კონტროლის ქვეშ იქნება ეს უწყება და რეალურად რა ორგანოს გვთავაზობს ხელისუფლება?! პირველ რიგში, უნდა ვთქვათ, რომ იქმნება ძალიან ძლიერი, დიდი ძალაუფლებისა და კომპეტენციის მქონე ორგანო. ერთი მხრივ, ეს ორგანო სუსის დაქვემდებარებაში იქნება, რომლის უფროსსაც დანიშნავს სუსის უფროსი. ამავდროულად, სწორედ სუსის უფროსი დაამტკიცებს სააგენტოს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე, სუსის უფროსი იქნება უფლებამოსილი, მიმართოს პრემიერ-მინისტრს, რათა აღნიშნული სააგენტოსა თუ სამსახურის ხელმძღვანელი თანამდებობიდან გაათავისუფლოს. გარდა ამისა, თავად ეს ორგანო ძალიან ბევრი ფუნქციის მატარებელია, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის მის ეფექტურ კონტროლს. ასევე, ეს ორგანო განახორციელებს ფარულ მიყურადება-მოსმენას, სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავებას. ასევე, ამ სააგენტოს აქვს უფლებამოსილება, რომ თვითონვე შეიმუშაოს ის კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოახდინონ კერძო კომპანიებმა, მაგალითად, „მაგთიმ“ და „ჯეოსელმა“, ასევე სხვა პროვაიდერმა კომპანიებმა, საკუთარი თავის ტექნიკური აღჭურვა. გარდა ამისა, ამ სააგენტოს შეუძლია, კერძო კომპანიებში აუდიტი ჩაატაროს და დააჯარიმოს ისინი. ამ ფონზე, ცხადია, საპარლამენტო თუ სხვა მაკონტროლებელი მექანიზმები აბსოლუტურად არაეფექტურია. პარლამენტი გვთავაზობს, ნდობის ჯგუფის მანდატი გაიზარდოს, თუმცა ნდობის ჯგუფის მანდატის იმ ფარგლებით გაზრდა შეუძლებელია, რომ ის საკმარისი აღმოჩნდეს ამ სამსახურის გასაკონტროლებლად. არსებული კონტროლის მექანიზმები, ვფიქრობ, არასისტემურია. ეს კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ ამ სამსახურმა მის ხელთ არსებული ძლიერი ტექნიკური შესაძლებლობები კანონსაწინააღმდეგოდ არ გამოიყენოს.

# „უცხო პირი „ოქროს სამყაროს“ ტერიტორიაზე შესვლას ცდილობდა“

– უცხო პირი „ოქროს სამყაროს“ ტერიტორიაზე შესვლას, სავარაუდოდ, მაროდიორობის მიზნით გეგმავდა.

ე.წ. ოქროს ბირჟაზე უნებართვოდ შესვლის მცდელობას ჰქონდა ადგილი.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ოქროს სამყაროს“ კომერციულმა დირექტორმა მირიან მარიამიძემ განუცხადა.

მირიან მარიამიძის თქმით, პოლიცია გარანტიას აძლევს „ოქროს სამყაროს“ მოვაჭრეებს, რომ ტერიტორიაზე ღამით უსაფრთხოების ზომები დაცული იქნება.

❖ ❖ ❖

შინაგან საქმეთა სამინისტროში ე.წ. ოქროს ბირჟაზე უნებართვოდ შეღწევის მცდელობას არ ადასტურებენ. როგორც სამინისტროში „ინტერპრესნიუსს“ განუმარტეს, „ოქროს სამყაროს“ ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია და პოლიციის შესაბამისი იდენტიფიცირების გარეშე არცერთ ადამიანს ტერიტორიაზე არ უშვებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# მამუკა ახვლედიანი: „სასამართლოს სისტემური რეფორმა სჭირდება“

– სამართალს ვეძებ და მოვდივარ სასამართლოში, სადაც ხელმძღვანელი პირები არიან მურუსიძე, ცერცვაძე, ჩინჩალაძე და გვენეტაძე.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანმა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის მიერ მის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების შეფასებისას განუცხადა.

სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მამუკა ახვლედიანის სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება კანონიერი იყო.

– მართლა სასაცილოა, სამართალს ვეძებ და მოვდივარ სასამართლოში, სადაც ხელმძღვანელი პირები არიან – სააპელაციო სასამართლოში ცერცვაძე და მურუსიძე. ახლა გასაჩივრებას ვაპირებ მესამე ინსტანციაში, სადაც დამხვდებიან ჩინჩალაძე და გვენეტაძე. ეს ყველაფერი არის მასკარადი, რომელშიც მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებ, თუმცა პროცედურულად ამ ყველაფერს გავივლი, რათა სტრასბურის სასამართლოს მივმართო.

სააპელაციო სასამართლოს მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დღეს მოქმედი იუსტიციის უმაღლესი საბჭო სისხლის სამართლის წესით უნდა დასჯილიყო, რადგან გამოვიდოდა, რომ გადაწყვეტილება არაუფლებამოსილი ორგანოს მიერაა მიღებული. აქედან გამომდინარე, სხვა სახის გადაწყვეტილების მოლოდინი არ არსებობდა, – განაცხადა მამუკა ახვლედიანმა.

მისივე თქმით, უკვე თეორიულადაც შეუძლებელია, რომ ის თანამდებობაზე აღდგეს, თუმცა ასეთი პრეცედენტის დაშვების შემთხვევაშიც კი, სასამართლო სისტემაში მუშაობაზე უარს იტყოდა.

– მე ნამდვილად არ მაქვს სურვილი, ამ ტიპის სასამართლო სისტემაში ვიმუშაო. ეს რომ მდომოდა, მართლა ხმას არ ამოვიღებდი და ვიქნებოდი სასამართლოს თავმჯდომარე. ამან კიდევ ერთხელ აჩვენა, რამდენად ავადაა სასამართლო სისტემა. მძიმედაა დაავადებული, ასე ვთქვათ, სიმსივნით.



რეფორმის ტალღების შედეგები ყველამ ვნახეთ. პირველმა ტალღამ შექმნა დღეს მოქმედი საბჭო, მეორე ტალღამ შექმნა ის დანიშვნის სისტემა, რომლითაც არჩევენ და ნიშნავენ მოსამართლეებს. მესამე ტალღა კი უკვე საბოლოოდ, სამუდამოდ გააფორმებს ამ ყველაფერს.

მე, ზოგადად, ვფიქრობ, რომ ეს არის ფარსი და სირცხვილი ქვეყნისთვის. იუსტიციის სამინისტროს ან არ ესმის, რას აკეთებს, ან მიზანმიმართულად აკეთებს ამას, რომ დაასუსტოს ქვეყანა, დაასუსტოს სასამართლო სისტემა და არ ჰქონდეს თავისი სახე. ამ ყველაფერს ტალღები და კოსმეტიკური შეკეთება არაფერს უშველის. ამას სჭირდება სისტემური რეფორმა, რადგან სისტემა, რომელიც ამ ტიპის სიმსივნესა და ავადმყოფობას იტანს, სისტემა არ არის, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ მამუკა ახვლედიანმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

# მირიან მარიამიძე: „ოქროს სამყაროში“ 270 საცავიდან 264 უკვე გახსნილია“



– „ბავშვთა სამყაროს“ ტერიტორიაზე არსებულ „ოქროს სამყაროში“ 270 საცავიდან 264 უკვე გახსნილია და მეპატრონეებს ძვირფასი ნივთები გატანილი აქვთ.

ამის შესახებ „ოქროს სამყაროს“ კომერციულმა დირექტორმა მირიან მარიამიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მარიამიძემ აღნიშნა, დარჩენილია ექვსი საცავი, რომელიც იმის გამო ვერ გაიხსნა, რომ ძვირფასი ნივთების მეპატრონეებმა გასაღებები დაკარგეს ან დახლში ჰქონდათ შენახული და ხანძრის შედეგად ისინი განადგურდა.

– დარჩენილია 6 საცავი, რადგან საცავებში შენახული ძვირფასეულობის მეპატრონეებმა დაკარგეს საცავის გასაღები ან დახლში ჰქონდათ შენახული, ან ხანძრის შედეგად გაუნადგურდათ.

ახლა მიმდინარეობს ამ საცავების დემონტაჟი. მუშაობა დასრულდება და დაიწყება იმ ადამიანების შეშვება „ოქროს სამყაროს“ ტერიტორიაზე, ვისაც დახლში ჰქონდა შენახული ძვირფასი ნივთები და ხანძარს გადაურჩა. შესაძლოა, ეს ნივთები დაზიანებული იყოს, თუმცა გამოდგება გადადნობისთვის ან სხვა დანიშნულებისთვის, – განაცხადა მირიან მარიამიძემ. მისივე თქმით, ღამის განმავლობაში ტერიტორიის უსაფრთხოებაზე პოლიცია იზრუნებს.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2017, 1 თებერვალი, №26

# დონალდ ტრამპი იაპონიის პრემიერს ესაუბრა




აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ტელეფონით იაპონიის პრემიერ აბეს დაუკავშირდა. ტრამპმა განუცხადა, რომ აშშ და იაპონია პარტნიორებად დარჩებიან.

— ამერიკა მუდამ ყველაფერზე მაღლა მოკავშირისადმი ერთგულებას აყენებდა. იაპონია ჩვენი მოკავშირეა და ჩვენი იმედი შეუძლია ჰქონდეს, — თქვა ტრამპმა.

# აშშ-ის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს




აშშ-ის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა სალ იიტსმა ტრამპი სასტიკად გააკრიტიკა. საკითხი ეხებოდა ტრამპის უკანასკნელ ბრძანებას ზოგიერთი მუსლიმანური ქვეყნის მოქალაქეთათვის აშშ-ში შესვლის შეზღუდვის თაობაზე. შედეგმა არ დააყოვნა. ტრამპმა იიტსი გაათავისუფლა.

— თუკი იიტსი ჩვენი გუნდის წევრია, ასე არ უნდა იქცეოდეს! — თქვა ტრამპმა.

# ამერიკაში საპროტესტო აქციები გრძელდება

აშშ-ის უმსხვილეს ქალაქებში საპროტესტო აქციები გრძელდება. ქუჩაში ასეულობით ათასი ადამიანი გამოვიდა. ამან აიძულა ტრამპი, გარკვეულწილად, თავი ემართლებინა.



— აშშ-ში შემოსვლის შეზღუდვა მხოლოდ 90 დღეს გასტანს. მე ამაზე წავედი! არ მესმის, რა გინდათ ჩემგან! — დაუფარავი გაღიზიანებით შენიშნა ტრამპმა.

პრეზიდენტმა აეროპორტებში წარმოქმნილი შეფერხებები ბრალად დემონსტრანტებსა და აეროპორტების პერსონალს დასდო. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ტერორისტებისაგან ამერიკის დაცვა აუცილებელია.

— ჩვენ უნდა დავიბრუნოთ უსაფრთხო ამერიკა, — განაცხადა პრეზიდენტმა.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ექსპრეზიდენტმა ობამამ განაცხადა:

— ის, რასაც ტრამპი აკეთებს, ფუნდამენტური ამერიკული ფასეულობების ფეხქვეშ გათელვაა! ჩვენში ადამიანს რწმენის, რელიგიის ან რასის გამო არასოდეს დევნიდნენ, — თქვა ობამამ.

# ბრიტანეთის დედოფალი მზად არის, ტრამპი მიიღოს



ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ ტრამპის მიგრაციული პოლიტიკა სადავოა. ჯონსონმა ხაზი გაუსვა, რომ მხარს არ უჭერს ცალკეული მუსლიმანური ქვეყნების მოქალაქეთათვის აშშ-ში ჩასვლაზე შეზღუდვების დაწესებას.

— ამავე დროს, მსურს აღვნიშნო, რომ ტრამპის ოფიციალური ვიზიტი ბრიტანეთში შედგება! დედოფალიც მას მიიღებს, — თქვა ჯონსონმა.

# ვაშინგტონის შტატის პროკურორმა ტრამპს სასამართლოში უჩივლა




ვაშინგტონის შტატის პროკურორმა ფერგიუსონმა პრეზიდენტ ტრამპს სასამართლოში უჩივლა. მიზეზი ტრამპის უკანასკნელი ბრძანებულებაა, რომლის თანახმად, ირანის, ერაყის, სირიის, სომალის, სუდანის მოქალაქეებს აშშ-ში შესვლა შეეზღუდათ.

— პრეზიდენტის ხსენებული ბრძანება ამერიკის კონსტიტუციის უხეში დარღვევაა, — განაცხადა ფერგიუსონმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ერდოღანი მოსკოვში ჩასვლას აპირებს



თურქეთის პრემიერი რეჯებ ერდოღანი ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვევა. ამის თაობაზე ჟურნალისტებს პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განუცხადა. პუტინ-ერდოღანის მოლაპარაკებების ძირითადი თემა სირიაში შექმნილი მდგომარეობა იქნება.

— ვიზიტი მარტის დასაწყისისთვის არის დაგეგმილი. სამზადისი უკვე მიმდინარეობს, — თქვა პესკოვმა.

# კიმ კარდაშიანის გამო დუბაის ბავშვთა სამედიცინო ცენტრი დააჯარიმეს



დუბაის ინვალიდ ბავშვთა სამედიცინო ცენტრი არაბთა გაერთიანებული საემიროების საზოგადოებრივი განვითარების სამინისტრომ ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის მიწვევის გამო დააჯარიმა, თუმცა ჯარიმის ოდენობა უცნობია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებას ჯერ ჩინოსნების თანხმობა უნდა მიეღო ცნობილი ადამიანის ვიზიტთან დაკავშირებით, მაგრამ მათ ამის გაკეთება ვერ მოასწრეს, ვინაიდან კარდაშიანმა სთხოვა, მისი ვიზიტის თაობაზე პრესისთვის არ ეცნობებინათ.

რეალიტი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის" მთავარი გმირი სამედიცინო დაწესებულებაში იმისთვის მივიდა, რომ პაციენტები მოენახულებინა და მათთვის საჩუქრები, კერძოდ, თავისი გამოსახულებიანი მაისურები გადაეცა. მან სამედიცინო ცენტრში სტუმრობის ამსახველი ფოტოსურათი სოციალურ ქსელებში საკუთარ აკაუნტზე განათავსა და მისთვის თანდართულ კომენტარში აღნიშნა, რომ ეს არაბთა გაერთიანებულ საემიროებში მისი ვიზიტის საუკეთესო ნაწილი იყო.

აღსანიშნავია, რომ, ადგილობრივი კანონმდებლობით, სარეაბილიტაციო ცენტრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ნებისმიერი ფორმით საქველმოქმედო შემოწირულობის მიღება ეკრძალებათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კვებეკელი ტერორისტები დააპატიმრეს



კანადის პოლიციამ დააპატიმრა კვებეკის მეჩეთზე თავდამსხმელები. ამ თავდასხმის მსხვერპლია 6 ადამიანი. ერთ-ერთი თავდამსხმელი დანაშაულის ადგილას შეიპყრეს, მეორე პოლიციას თავად ჩაბარდა.

— სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, — განაცხადა პრემიერმა ტრიუდომ.

# ამერიკელმა ქალსა და ბავშვს გაყინული ძეხვით სცემა

ამერიკის კენტუკის შტატის მცხოვრებმა მამაკაცმა ქალს გაყინული ძეხვით სცემა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ქალაქ ბარდსთაუნში მოხდა. პოლიციამ დაადგინა, რომ 24 წლის დერეკ კისლერმა თავის მეგობარ გოგონას რამდენიმე დარტყმა მიაყენა სახის არესა და ხელებზე, ასევე ხელი წამოარტყა ცხრა თვის ბავშვს. შემდეგ მან ქალი დერეფანში გაათრია და მაცივრის საყინულიდან გამოღებული ძეხვი თავში ჩასცხო.

ქალმა პოლიციის გამოძახება მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი მას თითებზე ურტყამდა. კისლერი შემთხვევის ადგილზე პოლიციის მისვლამდე გაუჩინარდა, თუმცა სამართალდამცველებმა ის ექვს საათში დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეჭვმიტანილმა ცემის ფაქტი აღიარა, მაგრამ ამტკიცებს, რომ ამ დროს საკუთარ თავს ვერ აკონტროლებდა. მან ასევე განაცხადა, რომ ასეთი აგრესიული ქმედებისკენ თავად ქალის საქციელმა უბიძგა.

ახალგაზრდა მამაკაცს დანაშაულებრივი თავდასხმა და კიდევ სხვა კანონსაწინააღმდეგო ბრალდებები წაუყენეს. ის 5 ათასი დოლარის ოდენობის გირაოს გადახდის შემდეგ პატიმრობიდან გაათავისუფლეს. სასამართლო მის საქმეს თებერვლის დასაწყისში განიხილავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ლერი ხაბელოვი: „დოკუმენტაცია მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია“



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში სპეციალური ბრიფინგი გაიმართა. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და კომიტეტის ადვოკატებმა დამსწრე ჟურნალისტებს მიაწოდეს ინფორმაცია 2016 წლის 23 დეკემბრის საანგარიშო-საარჩევნო სესიის ოქმის მოქმედების შეჩერების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების თაობაზე.

თავდაპირველად ლერი ხაბელოვმა ხაზი გაუსვა ოლიმპიური კომიტეტის შეუფერხებელი მუშაობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ოლიმპიური პროექტების განსახორციელებლად მომავალ შეჯიბრებებში წარმატებული გამოსვლის უზრუნველსაყოფად. როგორც მან აღნიშნა, კომიტეტი ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას და ყველა ვალდებულებას ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მხარე ცდილობს, სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებით ჩრდილი მიაყენოს ოლიმპიური კომიტეტის რეპუტაციას. ყველა ამ ბრალდებასა და ცილისწამებას მალე გაეცემა პასუხი და, დარწმუნებულნი ვართ, ეს ასევე დადასტურდება სასამართლოს მომდევნო გადაწყვეტილებებით.

**ლერი ხაბელოვი:**

– მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რითაც დროებით შეჩერებულია 2016 წლის 23 დეკემბრის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის შედეგების მოქმედება. ჩვენ ასევე ხელთ გვაქვს ყველა დოკუმენტაცია, რითაც ერთმნიშვნელოვნად დასტურდება საარჩევნო პროცესის სრული შესაბამისობა ჩვენს მოქმედ წესდებასთან. სხვათა შორის, ამ წესდების თითოეული მუხლი, თითოეული ჩანაწერი, დადგენილი წესის შესაბამისად, დამტკიცებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ.

სეოკ-ის საჩივრის კონკრეტულ მოტივებზე კომენტარი გააკეთეს კომიტეტის ადვოკატებმა. როგორც ადვოკატმა ირაკლი ყანდაშვილმა აღნიშნა, ჩვენს საჩივარში დეტალურად არის განმარტებული ის გარემოებები, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლოს ყველა საფუძველი აქვს საიმისოდ, რომ ხელახლა შეაფასოს ოლიმპიური მოძრაობისთვის მიყენებული ზიანისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების რისკის თანაფარდობა და მიიღოს მართლზომიერი გადაწყვეტილება – გააუქმოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

**ირაკლი ყანდაშვილი:**

– სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებით თუ მისი გამოყენების გარეშე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და აღმასკომის წევრთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა რჩება უცვლელი და უფლებამოსილი. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით ზიანი ადგება მხოლოდ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობასა და მთლიანად ქართულ სპორტს. მოგახსენებთ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას თანაბარწილად უნდა იქნეს დაცული როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის ინტერესები და ამ უკანასკნელისათვის რაიმე სახის უფლების შესაზღუდად, თუნდაც სასამართლოში დავის არსებობის დროს, შესაბამისი დასაბუთების, საკმარისი საფუძვლისა და გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე, დაუშვებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. სასამართლო ვალდებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას არ გასცდეს მხარეთა ორმხრივი ინტერესების დაცვის მოთხოვნას და გაუმართლებელი ზიანი არ მიაყენოს მოპასუხის ინტერესს, რისი ნიშნები ამ ეტაპზე სახეზეა და ეს უნდა გამოსწორდეს.

ადვოკატმა ყურადღება ასევე გაამახვილა სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის განაწესზე, რომლის თანახმადაც, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ის გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის დარღვეული ან სადავო უფლებების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს.

– დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ, დავის ხასიათიდან გამომდინარე, მსგავსი რამ არც უზრუნველყოფის ღონისძიებების აუცილებლობა და, მით უფრო, არც შესაძლო საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის არანაირი რისკი არ არსებობს. ამიტომაც მივიჩნევთ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უსაფუძვლოა და უნდა გაუქმდეს.

როგორც ბრიფინგზე ითქვა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება მიიღება მოპასუხე მხარის მოსაზრებების წარდგენის გარეშე. სწორედ ამით იხსნება სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილება, რაც ოლიმპიურ კომიტეტს თავისი მხრიდან დასაბუთებული საჩივრის წარდგენის შემდეგ მიაჩნია, რომ გაუქმდება.

# როჯერ ფედერერი: „ისევ დავბრუნდები“

ავსტრალიის ღია პირველობის, წლის პირველი დიდი სლემის ფინალი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ერთმანეთს შვეიცარიელი როჯერ ფედერერი და ესპანელი რაფაელ ნადალი დაუპირისპირდნენ.

შეხვედრის გამარჯვებული 5 სეტში გაირკვა. თითქმის 4-საათიანი მატჩის შემდეგ შეხვედრა ანგარიშით 6:4; 3:6; 6:1; 3:6; 6:3 როჯერ ფედერერის გამარჯვებით დასრულდა. შვეიცარიელმა კი კარიერაში დიდი სლემის გათამაშება – მეთვრამეტედ, ხოლო მეხუთედ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო.

მძიმე ფინალის შემდეგ ფედერერმა ჟურნალისტებთან ისაუბრა.

***– თქვენთვის მნიშვნელოვანი იყო, გაგეზარდათ სხვაობა ნადალთან დიდ სლემზე მოპოვებული გამარჯვებებით?***

– ეს მხოლოდ მოტივაციის ნაწილი იყო. მთავარი იყო ჩემი დაბრუნება და მორიგი ეპოქალური დაპირისპირება რაფასთან. 5 წელი არ მქონდა მოგებული დიდი სლემის ტურნირი და ძირითადად ამაზე ვფიქრობდი. ეს ასაკში მოვახერხე, რაც ძალიან მახარებს. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას თანადგომისთვის – პიტერ კარტერს, ტონი როჩას, გულშემატკივარს...

***– ოდესმე წარმოგედგინათ, რომ დიდი სლემის ფინალში გადამწყვეტ ქულას ჩელენჯის მეშვეობით მოიპოვებდით?***

– მსგავსი რამ ადრეც შემემთხვა, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით, ფინალი იყო თუ არა. რაფას ადგილზე ნებისმიერი ჩოგბურთელი ასე მოიქცეოდა და მომენტის გამეორებას მოითხოვდა. მართალია, განმეორებითი ჩვენებისას არცთუ სასურველია გამარჯვება, მაგრამ მაინც ძალიან ემოციური მომენტი იყო. ძალიან ბედნიერი ვიყავი. მხოლოდ შემდეგ გავიხედე ჩემი გუნდისკენ. ჩემი მეუღლე და ტრიბუნაზე მყოფი მეგობრებიც გაგიჟებული იყვნენ. ეს ძალიან მაგარი მომენტი იყო.

***– დიდი სლემის მე-18 ტურნირი მოიგეთ და ეს განსაკუთრებულია, თუმცა ავსტრალიაში რამე სხვა განსაკუთრებული მომენტი ხომ არ გქონიათ?***

– ჩემი კარიერის განმავლობაში ავსტრალიაში ყოველთვის სტაბილურად ვთამაშობდი. ჩემთვის ყველაფერი დაიწყო 1999 წელს, საკვალიფიკაციო ეტაპიდან. აქ მოვუგე 2000 წელს მაიკლ ჩანგს. ყოველთვის მომწონდა ავსტრალიაში ჩასვლა და თამაში – სადაც იგებ, იქ ჩასვლა ყოველთვის სასიამოვნოა. ბოლოს ხანგრძლივი მოუგებელი სტუმრობა მქონდა, მაგრამ უკვე გამარჯვებული ვბრუნდები სახლში.



***– როგორ მოახერხეთ კონცენტრაცია მე-5 სეტში, რომელსაც ბრეიკით აგებდით?***

– ჩემს თავს ვუთხარი, რომ რისკიანი თამაში იყო საჭირო. მატჩამდე მსგავსი სიტუაცია განვიხილეთ ივან ლუბიჩიჩითან და სევერინ ლუტისთან ერთად. მთავარია, ითამაშო ბურთით და არა მოწინააღმდეგით. თავისუფლად უნდა იყო ჩოგანთან, ბურთთან, უნდა გარისკო და ეს ყოველთვის დაგიფასდება. ასე რომ, ჩემმა ტაქტიკამ გაამართლა. მე-5 სეტში ბევრი შანსი მქონდა გათანაბრების, ვაგრძელებდი ბრძოლას და საკუთარ თავში ვრწმუნდებოდი, რომ ამის გაკეთება შემეძლო. მეტიც, ბოლოს გაკვირვებულიც კი დავრჩი, იმდენად კარგად ვითამაშე ბოლო სეტი. ჩავარდნა მქონდა მხოლოდ მე-4 და მე-5 სეტების დასაწყისში, შემდეგ კი ჩინებულად ვითამაშე.

***– რამდენად მართებული იქნება რაფა ნადალის დასახვა თქვენს ყველაზე პრინციპულ მეტოქედ? რას ნიშნავს თქვენთვის მასთან გამარჯვება?***

– რაფასთან დაპირისპირების ყველაზე ხანგრძლივი ისტორია მაქვს. ნოვაკ ჯოკოვიჩიც იყო ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მეტოქე, მანამდე კი – ჰიუტი და როდიკი. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს. რაფასთან დაპირისპირებამ კი ჩემი პროგრესირება გამოიწვია. ის ხშირად მიქმნიდა პრობლემებს და ამას ვაღიარებდი. ესპანელთან მატჩები ყოველთვის იქნება ყველაზე მთავარი გამოწვევა. ჯერ კიდევ ფინალამდე ვთქვი, რომ რაფასთან გამარჯვება იქნებოდა განსაკუთრებული. დიდი ხანია, მისთვის დიდი სლემის ფინალში არ მომიგია. ჩვენ ორივემ იმდენი მოვახერხეთ, რომ მაღალ დონეზე დავბრუნდით. ალბათ, უკეთესი იქნებოდა, ორივეს მოგვეგო ავსტრალიის ღია პირველობა, მაგრამ ჩოგბურთში ფრე არ არსებობს. ვფიქრობ, რაფაც კმაყოფილი იქნება მისი თამაშით ავსტრალიაში. რთულია, ეს თამაში რომელიმე ჩვენს დაპირისპირებას შევადარო. ალბათ – როლან გაროსის ფინალს 2009 წელს. დიდი ხანი ვერ ვიგებდი ამ ტურნირს – ვცდილობდი, ვიბრძოდი, მაგრამ ვერ ვიგებდი. საბოლოოდ მისი მოგება მაინც მოვახერხე. ალბათ, ეს ორი გამარჯვება ერთმანეთს ძალიან ჰგავს.

***– ეს თქვენი პირველი გამარჯვებაა დიდი სლემის ტურნირებზე მას შემდეგ, რაც ივან ლუბიჩიჩის მეთვალყურეობის ქვეშ თამაშობთ. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?***

– ეს მნიშვნელოვანი მომენტია მთელი გუნდისთვის. მწვრთნელის რანგში ლუბიჩიჩისთვის ეს პირველი წარმატებული დიდი სლემის ტურნირი იყო. მთელი დღის განმავლობაში ნერვიულობდა და, მგონი, იქით მიხდებოდა მისი დაწყნარება. ასეთივე სიტუაცია იყო ჩემს ფიზიოტერაპევტთან, მხოლოდ სევერინი იყო მშვიდად. მოხარული ვარ, რომ შრომა დაგვიფასდა – ისინი ჩემი მეგობრები არიან.

***– თქვენ მიერ აღებულმა სამედიცინო ტაიმაუტმა საკმაოდ მკვახე გამოძახილი ჰპოვა – ითქვა, რომ ეს არის დაშვებული აფერა. შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ აიღეთ ტაიმაუტი?***

– ეს ჯერ კიდევ სტენ ვავრინკასთან თამაშის შემდეგ ვთქვი – ფეხი მაწუხებს. მოხარული ვარ, რომ, ტკივილების მიუხედავად, ნორმალურად ვმოძრაობდი. რაფასთან მატჩისას ორჯერ ვიგრძენი ტკივილი – მე-2 და მე-3 სეტებში. ვიცოდი, რომ, წესების მიხედვით, მქონდა შესაძლებლობა, ტაიმაუტი ამეღო. გეთანხმებით, ტაქტიკურად ამის გაკეთება არასწორია, მაგრამ თითქმის 20 წელია, ჩემს სიტყვებს ქმედებით ვამართლებ. ასე რომ, ამაში ცუდს ნუ დაინახავთ და ამ შემთხვევაში კრიტიკა გადაჭარბებული მგონია. საერთოდაც, სამედიცინო ტაიმაუტი ყველაზე ნაკლებად მექნება გამოყენებული.

***– რამდენი ხანია, ჟურნალისტები კარიერის დასრულებაზე გეკითხებიან?***

– 7.

***– რაფასთან მატჩის შემდეგ თქვენ კორტზე თქვით – თუ მომდევნო წელს დავბრუნდი... როგორ გავიგოთ ეს ფრაზა?***

– მხედველობაში მქონდა, რომ ძალიან მიყვარს ჩოგბურთი და მინდა მისი თამაში. თუმცა, ყველაფერი ხდება – ხომ შეიძლება მივიღო ტრავმა და შემდეგ წელს ვერ ვითამაშო ავსტრალიაში? არავინ იცის, ითამაშებს თუ არა შემდეგ დიდ სლემზე და ექნება თუ არა ასეთი შესაძლებლობა. რთული სეზონი მქონდა. თუნდაც ავსტრალიაში სამჯერ ვითამაშე 5-სეტიანი მატჩი. მე არაფერი დამიგეგმავს და არ მინდა, ეს ჩემი ბოლო ავსტრალიის ღია პირველობა იყოს. იმედი მაქვს, ისევ დავბრუნდები – სადღეისოდ ჩემი გეგმა ასეთია.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**30 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლას პალმასი-ვალენსია ................ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 19 | 14 | 4 | 1 | 51-17 | 46 |
| 2.ბარსელონა | 20 | 12 | 6 | 2 | 52-18 | 42 |
| 3.სევილია | 20 | 13 | 3 | 4 | 43-28 | 42 |
| 4.ატლეტიკო | 20 | 10 | 6 | 4 | 34-16 | 36 |
| 5.სოსიედადი | 20 | 11 | 2 | 7 | 31-28 | 35 |
| 6.ვილიარეალი | 20 | 9 | 7 | 4 | 28-14 | 34 |
| 7.ბილბაო | 20 | 9 | 5 | 6 | 26-22 | 32 |
| 8.სელტა | 20 | 9 | 3 | 8 | 31-33 | 30 |
| 9.ესპანიოლი | 20 | 7 | 8 | 5 | 28-27 | 29 |
| 10.ეიბარი | 20 | 8 | 5 | 7 | 28-29 | 29 |
| 11.ლას პალმასი | 20 | 7 | 7 | 6 | 31-31 | 28 |
| 12.ალავესი | 20 | 5 | 9 | 6 | 17-20 | 24 |
| 13.ბეტისი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-31 | 23 |
| 14.მალაგა | 20 | 5 | 7 | 8 | 28-34 | 22 |
| 15.ვალენსია | 19 | 5 | 4 | 10 | 29-36 | 19 |
| 16.დეპორტივო | 20 | 4 | 7 | 9 | 25-32 | 19 |
| 17.ლეგანესი | 20 | 4 | 6 | 10 | 15-33 | 18 |
| 18.ხიხონი | 20 | 3 | 4 | 13 | 20-39 | 13 |
| 19.ოსასუნა | 20 | 1 | 7 | 12 | 21-43 | 10 |
| 20.გრანადა | 20 | 1 | 7 | 12 | 16-44 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-კაიზერი ........................ 1:0

**იტალია. სერია ბ**

სპეცია-ლატინა ............................ 3:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რედ სტარი-რეიმსი ........................ 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სეტუბალი-ბენფიკა ........................ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ადანა-ქაშიმფაშა ........................... 2:0

ბეშიქთაში-ქონია .......................... 5:1

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# ვის ემუქრება ინსულტი

ეკა ირემაშვილმა

ინსულტი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლაა. ვის ემუქრება ინსულტი და რა სიმპტომები ახასიათებს დაავადებას, ამის შესახებ „ახალ თაობას“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ნევროლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი მაია ბერიძე ესაუბრა.

**მაია ბერიძე:**

– ინსულტი არის თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა, რაც შეიძლება მოხდეს ორგვარად: პირველი, ეს არის იშემიური ინსულტი, როდესაც თრომბი ან ემბოლი მოხვდება თავის ტვინის რომელიღაცა სისხლძარღვში. თავის ტვინის სისხლძარღვები შეიძლება იყოს მაგისტრალური – მთავარი სისხლძარღვები, შეიძლება იყოს არტერიულები და შეიძლება იყოს უფრო წვრილი სისხლძარღვებიც. თრომბი ადგილზე ჩნდება სისხლძარღვში გარკვეული მიზეზების გამო. ამის ძირითადი მიზეზები არის ათეროსკლეროზული ცვლილებები.

რაც შეეხება ემბოლს, ეს არის გამოსროლილი თრომბული ნაწილაკი, რომელიც შეიძლება მოხვდეს თავის ტვინის სისხლძარღვში და გაეჩხიროს, როდესაც არის კარდიოლოგიური პათოლოგია, ვთქვათ, მოციმციმე არითმია, ან გადატანილი ინფარქტი. ან გულის არითმია, რომელსაც ჩვენ გამოვარდნებს ვეძახით. ან სარქვლოვანი მანკები, ამ დროს გული ისვრის თრომბებს, რომელიც შეიძლება მოხვდეს თავის ტვინის სისხლძარღვებში და გაიჭედოს. ეს ხდება მაშინ, თუ სისხლძარღვი ისედაც შეცვლილია. სისხლძარღვი შეიძლება შეცვლილი იყოს ათეროსკლეროზული პროცესის გამო, დიაბეტური პროცესის გამო, შესაძლებელია იყოს სისხლძარღვების ანთებითი ცვლილებები. არსებობს ასეთი დაავადებები ვასკულიტები, რომლებიც რევმატოიდულ პათოლოგიებს მიეკუთვნებიან, სახსრების გარდა, ისინი სისხლძარღვებს აზიანებენ და იქაც ხდება ასეთი დაზიანებები. სისხლძარღვმა შესაძლოა განავითაროს მდგრადი სპაზმი და ასეთ შემთხვევაშიც შეიძლება განვითარდეს ინსულტი. ეს არის თრომბოემბოლიური მიზეზი, რაც ძირითადად იწვევს იშემიურ ინსულტებს.

***– რას გვეტყვით მეორე ტიპის ინსულტზე?***

– გვაქვს მეორე ტიპის ინსულტები – ეს არის ჰემორაგია, როცა სისხლი მოხვდება თავის ტვინში. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ არის ტრავმა – ტრავმული დაზიანება შეიძლება მოხდეს სისხლძარღვების, თუ არის ანევრიზმა – ანევრიზმა ეს არის სისხლძარღვის კედლის პათოლოგიური გამოზნექილობა, რაც შესაძლებელია ასევე ტრავმული მიზეზით განვითარდეს, მაგრამ შეიძლება იყოს თანდაყოლილი. ეს მისი კედლის თანდაყოლილი სისუსტეა. შეიძლება ამის მიზეზი იყოს ე.წ. არტერიო ვენოზური მალფორმაციები. ეს ხშირად თანდაყოლილი პათოლოგიაა. არტერიები და ვენური სისტემის სისხლძარღვები ძაფის გორგალივით არის პათოლოგიურად ერთმანეთში გადახლართული. ასეთ დროს მცირედი მაღალი წნევის ფონზე შეიძლება გახეთქოს სისხლძარღვი და წამოვიდეს სისხლი.

გარდა ამ ორი ტიპის ინსულტებისა, შეიძლება იყოს ე.წ. გარდამავალი სისხლის მიმოქცევის მოშლა. ეს, როგორც წესი, არის იშემიური ტიპის და ნიშნავს იმას, რომ იქ არის სისხლძარღვოვან აუზში დაზიანება. ამ დროს მაინც ხდება თრომბოემბოლია, მაგრამ მან შეიძლება გაიაროს სისხლძარღვში და ის სიმპტომატიკა, რომელიც ამ დროს გამოვლინდება, ალაგდეს. თუ 24 საათში ინსულტის სიმპტომატიკა, რომელიც გამოვლინდება, პირველსავე საათებში ალაგდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის არის გარდამავალი სისხლის მიმოქცევის მოშლა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავადმყოფმა თავი არ უნდა დაიზღვიოს. პირიქით, სულ სიფრთხილეში უნდა იყოს, რომ თუ ერთხელ მოხდა, აღარ განმეორდეს. ამის გამო უნდა მოხდეს პრევენცია.

***– რისკფაქტორებთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ თქვათ?***

– რაც შეეხება რისკფაქტორებს, ინსულტების რისკ ფაქტორები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად – ეს არის არამოდიფიცირებადი რისკფაქტორები, რომელთა შეცვლა შეუძლებელია და მოდიფიცირებადი ფაქტორები, რომელთა შეცვლა ჩვენ შეგვიძლია მედიკამენტოზური თერაპიით, ფიზიკური ვარჯიშით, ცხოვრების სწორი წესით.

არამოდიფიცირებადი რისკფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ასაკი. რაც უფრო მეტად იმატებს ასაკი, მით უფრო მეტია რისკი ინსულტის განვითარების. მემკვიდრეობას ვერაფრით შევცვლით. მემკვიდრეობაში ჩვენს ბებიებს, ბაბუებს, წინაპრებს ვიღაცას ჰქონდა უკვე ინსულტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრეობით გარკვეულად ამის მიმართ მიდრეკილება გვაქვს. ვერაფრით ვერ შევცვლით რასას და ეთნიკურ ჯგუფს.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ



თეთრ ადამიანებს – ევროპოიდებს უფრო ნაკლებად ემართებათ ინსულტი, ვიდრე შავ ადამიანებს – აფროამერიკელებს. ინსულტის დროს სქესს არ აქვს მნიშვნელობა, ქალებს და კაცებს თანაბრად ემართებათ. უკვე გადატანილი ინსულტი წარმოადგენს რისკს, რომ შეიძლება ის განმეორდეს – ამასაც, რა თქმა უნდა, ვერ შევცვლით. ეს არის არამოდიფიცირებადი რისკფაქტორები.

რაც შეეხება მოდიფიცირებად რისკფაქტორებს, რომელთა შეცვლაც შეგვიძლია, პირველ რიგში, ეს არის არტერიული ჰიპერტენზია. მაღალი არტერიული წნევა ძალიან ხშირია, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია მედიკამენტებით, რომლებიც დააქვეითებს არტერიულ წნევას და წამლები უნდა ვიხმაროთ მუდმივ რეჟიმში. არსებობს პრეპარატები, რომლებიც იმ წუთას გამოსაყენებლად არის ძალიან კარგი და არსებობს რეგულატორები, რომლებიც წნევას არეგულირებენ უფრო ხანგრძლივი დროით და თუ ამ წამალს მუდმივად მივიღებთ, წნევაც დაბალანსდება და დაიჭერს იმ წნევის ციფრებს, რომელიც ადამიანისთვის სასარგებლოა.

ძალიან დიდი რისკფაქტორი ჰიპერტენზიის მიერ არის ათეროსკლეროზი. მიდრეკილებაც არსებობს სკლეროზული პროცესის ჩამოყალიბების მიმართ და არსებობს არასწორი კვების რეჟიმი და ცხოვრების წესი. ის ადამიანები, რომლებიც დიდი რაოდენობით იღებენ ცხოველურ ცხიმიან საკვებს, რომლებიც ნაკლებად მოძრავნი არიან, უფრო მეტად აქვთ მიდრეკილება, რომ განუვითარდეთ ათეროსკლეროზული პროცესი. დიდი წონის ადამიანები თავისებური რისკ ჯგუფია, რომლებსაც ათეროსკლეროზული პროცესი აქვთ და კიდევ უფრო ხშირად შეიძლება ჰქონდეთ დიაბეტური პროცესი. ჭარბი წონა ყველაფრის მტერია. ყველა ადამიანმა 3 თვეში, ან 6 თვეში ერთხელ ქოლესტერინი უნდა შეიმოწმოს აუცილებლად. თუ ქოლესტერინი მაღალია, არსებობს ამის მოდიფიცირების არაჩვეულებრივი საშუალება – სტატინების გამოყენებით შესაძლოა ათეროსკლეროზული პროცესის შეჩერება, რომ აღარ მოხდეს მისი გაზრდა. არსებობს ბუნებრივი საშუალებები, რომელიც ბაზარზე გაჩნდა. წითელი ბრინჯი, რომელიც ებრძვის ათეროსკლეროზს. არსებობს სპეციალური დიეტები და მოძრავი ცხოვრების წესი – ეს პრევენციის ძალიან კარგი საშუალებაა.

***–– რა სიმპტომები უძღვის წინ ინსულტს?***

– იმ პირებს, ვისაც აქვს მაღალი არტერიული ჰიპერტენზია, ვისაც აქვს შაქრიანი დიაბეტი, ვისაც აქვს ჭარბი წონა, ვინც ეწევა ბევრ სიგარეტს, უკვე უნდა იყვნენ ყურადღებით და მომზადებულები. ერთ-ერთი საყურადღებო სიმპტომია სისუსტის განვითარება კიდურებში, ხელებსა და ფეხებში. შესაძლოა გაუჭირდეს მეტყველება, ეს არის ერთ-ერთი სიმპტომი, შესაძლოა დაეხვეს თავბრუ. ესეც ძალიან საყურადღებოა. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა არის მაღალი არტერიული წნევა, ეს უკვე ერთ-ერთი რისკია, რომ შეიძლება რაღაც მოხდეს, ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს არტერიული წნევის დაქვეითება.

შაქრიანი დიაბეტი ერთ-ერთი საშინელი დაავადებაა, რომელიც მთლიანად აზიანებს თავის ტვინის სისხლძარღვებს. იმდენად დაზიანებულია, რომ იქ ძალიან ადვილად ხდება თრომბოემბოლია. დიაბეტი ორი ტიპის არსებობს – პირველი და მეორე ტიპის, ვისაც პირველი ტიპის აქვს, უნდა იკეთონ ინსულინი, თუ ტაბლეტებზე არიან, ტაბლეტები მიიღონ, თუ მეორე ტიპის დიაბეტი აქვთ, უნდა დაადგინონ, რომ ნამდვილად აქვთ მეორე ტიპის დიაბეტი, დიეტაზე გადავიდნენ და ენდოკრინოლოგის მითითებით და ზედამხედველობით ჩაიტარონ აუცილებელი მკურნალობა. რაც ჩამოვთვალეთ, ეს არის დაავადებები, რომელთა პრევენცია შესაძლებელია.

სისხლძარღვოვანი ჰემორაგიების საკითხების მხრივ საყურადღებოა ანევრიზმა – ეს ისეთი რამ არის, შესაძლოა ვერ გათვალოს ადამიანმა, მაგრამ არსებობს არაინვალიზიური სისხლძარღვების გამოკვლევის მეთოდები, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გაიკეთოს ადამიანმა. ეს არის ტრანსკანიალური დოპლეროგრაფია, რომელშიც თავის ტვინის მთელი სისხლძარღვები აბსოლუტურად არაინვაზიურად ექოს ზონდის მეშვეობით თვალიერდება და თუ სადმე რამე მინიშნებაა, სპეციალისტი იტყვის, უფრო ღრმა გამოკვლევები გაკეთდება საფუძვლიანად და წინასწარ მოისპობა ამის განვითარების რისკი.

***– ასაკი განსაზღვრულია?***

– სამწუხაროდ, შეიძლება ახალგაზრდა ასაკშიც მოხდეს. ასეთ ადამიანებს გამოვლინებები აქვთ. თავბრუსხვევები, პათოლოგიური თავის ტკივილები აქვთ, რომელსაც მიზეზი არ მოეძებნება, გადაღლას აბრალებენ ხოლმე. შესაძლოა არსებობს დაძაბულობის თავის ტკივილები, როდესაც ნევროზი და დაძაბულობაა თავის ტკივილის მიზეზი, ამას მშვენივრად ვმკურნალობთ, მაგრამ იმისთვის, რომ გამოირიცხოს უფრო საშიში მიზეზი, მაინც უნდა ჩატარდეს სისხლძარღვოვანი გამოკვლევა, რომ ვიცოდეთ, რომ ეს არ არის ნამდვილად. თუ ადრეულ სტადიაზე ვიპოვით, მისი პრევენცია უფრო ადვილია, ვიდრე ყველაფერი განვითარდება.

კარდიოვასკულური პათოლოგია და ცერებროვასკულური პათოლოგია არის სიკვდილიანობის ყველაზე დიდი მიზეზი მსოფლიოში და ცერებრო პასკულური პათოლოგია არის ინვალიდობის ყველაზე დიდი მიზეზი. არათუ მაღალი მაჩვენებელი, სტატისტიკურად გამოკვლეულია, არა მარტო პაციენტი ზარალობს, ჯერ ინვალიდობა, მერე შრომის უნარიანობა დაიკარგა, მერე მომვლელიც კი ავადდება და ავადდება, როგორც წესი, ნევროზით და დეპრესიით. ეს ყველაფერი თავიდან რომ ავიცილოთ, უნდა მოხდეს ძალიან კარგი პრევენცია და მაქსიმალურად ყურადღებით ვიყოთ.



**70 წლის იუბილეს**

**ვულოცავთ ყველასათვის საყვარელ, კეთილშობილ, გულისხმიერ, ერთგულ მეგობარს, ქუთაისის კოლორიტს**

**რამაზ ვადაჭკორიას**

**ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.**

***მეგობრები***



## ასტროპროგნოზი

### 1 თებერვლისთვის



**ვერძი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **კურო** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კირჩხიბი** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **ლომი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი. **სასწორი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **თხის რქა** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მერწყული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 2. კუბის ფორმის მეჩეთი მექაში; 3. ხმის ჩანაწერების საცავი; 4. აზერბაიჯანული მაწონი; 7. „ტურ-დე-ფრანსის“ გამარჯვებული ბრიტანელი ველომრბოლელი; 9. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 12. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინაში; 14. ფულის ერთეული პანამაში; 15. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 17. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 20. ჯარების მართვის ორგანო.

**თარაზულად:** 5. მეცნიერული ნაშრომის მოკლე შინაარსი; 6. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 8. თავისუფალ გლეხთა კატეგორია; 10. ხორცპროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11; რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 16. დუქნის დახლიდარი; 18. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. პურეული მცენარე; 21. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 22. ჩეჩნებისა და ინგუშების სახელწოდება ძველად საქართველოში; 23. სომხური ანბანის შემქმნელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### წინა ნომრებში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**2017, 30 იანვარი, №24**

**კროსვორდი**

**თარაზულად:** 6. ვალიზი; 7. ვესტერნი; 8. ვალაბი; 10. მარკო; 11. პორტუგალია; 13. მკათათვე; 16. მოსტრა; 19. კუკარაჩა; 20. მუნდიალი.

**შვეულად:** 1. „სალამბო“; 2. ბზობა; 3. გებჟალია; 4. მერქანი; 5. ვიქტორინა; 9. არაგვი; 12. პორტალი; 14. კაკადუ; 15. არბო; 17. რანჩო; 18. აკრი.

**სკანვორდი:**

1. მარაკანა; 2. მინორი; 3. ტარიელ; 4. ქვიტირი; 5. ოკარინა; 6. ილი; 7. იდო; 8. არ; 9. ანკესი; 10. კიმონო; 11. რახი; 12. აგავა; 13. ტონა; 14. კილტი; 15. მასრა; 16. ესმერალდა; 17. ნოე; 18. ავი; 19. იმა; 20. სერსო; 21. ელადა; 22. ორტევი; 23. ბაზისი; 24. ურო; 25. ენ; 26. ივან; 27. ომი; 28. ამალა; 29. ლამარა; 30. დურბინდი; 31. აბანოზი; 32. მნათობი; 33. ია.

**სურათებზე:** ნატალია ვოდიანოვა; ხუან სებასტიან ვერონი.

**2017, 31 იანვარი, №25**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფოკა; 2. ქიმია; 3. ამირა; 4. ბორტი; 5. „ტეკილა“; 6. კარამელი; 8. იქთიოლოგია; 10. კოპაკაბანა; 11. მინიატურა; 14. კვაისა. 15. მანათი; 16. „პეპსი“.

**თარაზულად:** 1. ფუნქცია; 4. ბოტანიკა; 7. კაზმი; 9. იანკი; 12. ტაბიძე; 13. ეთერი; 14. „კოდაკი“; 17. კოშუტი; 18. ემანსიპაცია; 19. კალმახი; 20. სიგალი.

# ნუკა ყარალაშვილი ტოპგოგონებში ვერ მოხვდა



მის საქართველო ნუკა ყარალაშვილი ჩვენი ქვეყნის სახელით საერთაშორისო სილამაზის კონკურს „მის სამყარო 2017"-ში მონაწილეობდა.

წლევანდელი კონკურსის გამარჯვებული, საფრანგეთის წარმომადგენელი 24 წლის ირის მიტენარი გახდა. მის სამყაროს კონკურსის არსებობის ისტორიაში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც კონკურსი ფრანგმა ლამაზმანმა მოიგო.

ირისი სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს და სტომატოლოგის პროფესიას ეუფლება. სწავლას გოგონა მუშაობასაც უთავსებს. მისთვის მთავარი პრიორიტეტები სწავლა, სპორტი, დასვენება და მოგზაურობაა. მის სამყაროს გამარჯვებული საკუთარ თავზე საუბრისას აცხადებს, რომ ძალიან უყვარს ფრანგული სამზარეულო. არა მარტო მომზადებული კერძების დაგემოვნება, არამედ მათი მომზადებაც ირისის ჰობია.

„მის სამყარო 2017"-ს ულამაზესი გვირგვინი კონკურსის შარშანდელმა გამარჯვებულმა, ფილიპინელმა პია ალონსომ დაადგა თავზე და გამარჯვება მიულოცა..

„მის სამყაროს" ტოპსამეულში მოხვდნენ საფრანგეთი, კოლუმბია, ჰაიტი. კონკურსის ტოპ 9 გოგონას შორის აღმოჩნდნენ საფრანგეთი, მექსიკა, ტაილანდი, კანადა, ჰაიტი, კენია, ფილიპინები, კოლუმბია, ა.შ.შ. ტოპ 13-ში კი დასახელდნენ პერუ, ბრაზილია, ინდონეზია, პანამა, საფრანგეთი, მექსიკა, ტაილანდი, კანადა, ჰაიტი, კენია, ფილიპინები, კოლუმბია, ა.შ.შ. სამწუხაროდ ნუკა ყარალაშვილი ტოპგოგონებში ვერ მოხვდა.

## დღის კალენდარი

### 1 თებერვალი



**წლის 32-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 333 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

ხსენება ღირსი მამის ანტონ მესვეტისა, მარტომყოფელისა, ცამეტი სირიელი მამათაგანისა (VI); ღირსი მამის მაკარი დიდისა, ეგვიპტელისა (390-391), წმიდა ქალწულმოწამე ევფრასიასი (303); ღირსი მაკარი ალექსანდრიელისა (394-395 ) და წმიდა არსენისა, კერკისის მთავარეპისკოპოსისა , წმიდა მარკოზ ევგენიკესი, ეფესოს მთავარეპისკოპოსისა (VIII); მოწამისა ამბა ანტონისა; გრიგოლ ღვთისმეტყველის წმინდა ნაწილთა აღმოყვანება ნაზიანზიდან კონსტანტინეპოლს (950);

ღირსი მამა ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი ერთ-ერთი იყო ცამეტ სირიელ (კაპადოკიელ) წმიდა მამათაგან, რომელნიც VI საუკუნეში მოვიდნენ საქართველოში ქრისტეს ჭეშმარიტი რწმენის განსამტკიცებლად და საფუძველი ჩაუყარეს ქართულ მონაზვნობას. გადმოცემით მან საქართველოში ჩამოიტანა პირველი ხატი მაცხოვრისა, გადაღებული ედესის ხელთუქმნელი ხატისაგან. წმიდა ანტონი ერთ განმარტოებულ მთაზე დასახლდა კახეთში, რომელსაც მისი სახელწოდების – „მარტომყოფელის" – მიხედვით შემდეგში მარტყოფი ეწოდა (დღევანდელი სოფლის მარტყოფის სახელიც აქედან მომდინარეობს). აქ მან სავანე დააარსა და ტაძარიც აღაგო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის პატივად. თავისი ცხოვრების ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ღირსი ანტონი სვეტზე იღვწოდა, რის გამოც იწოდა კიდეც იბერიის ეკლესიის მესვეტედ.

თავისი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს ღირსი ანტონ მარტომყოფელი მის მიერვე აგებულ ტაძარში დაკრძალეს; მის საფლავზე, რომელიც მრავალრიცხოვან მორწმუნეთ მიიზიდავდა, სასწაულებრივი კურნებანი აღესრულებოდა. ხსენება წმიდა ანტონ მარტომყოფელისა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, გარდა პირველი თებერვლისა იდღესასწაულება აგრეთვე 19 აგვისტოსაც. თბილისის ანჩისხატის ეკლესიის სატაძრო დღესასწაულის (ანჩისხატობის) დროს, სადაც ღირსი მამის მიერ ჩამოტანილი ხელთუქმნელი ხატი იყო დასვენებული.

**დაიბადნენ:**

1874 – ჰუგო ფონ ჰოფმანსთალი, ავსტრიელი პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი. გარდაიცვალა 1929 წელს.

1881 – ევგენი გეგეჭკორი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. გარდაიცვალა 1954 წელს.

1895 – ჯონ ფორდი, ამერიკელი რეჟისორი, პროდიუსერი, სცენარისტი და მსახიობი. გარდაიცვალა 1973 წელს.

1905 – ემილიო ჯინო სეგრე, იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1930 – თამაზ ბუაჩიძე, ფილოსოფოსი, პროფესორი. გარდაიცვალა 2002 წელს.

1931 – ბორის ელცინი, რუსეთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი. გარდაიცვალა 2007 წელს.

1966 – სტეფანია, მონაკოს პრინცესა.

**გარდაიცვალნენ:**

1650 – რენე დეკარტი, ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი.

1851 – მერი შელი, ინგლისელი მწერალი.

1908 – კარლოს I, პორტუგალიის მეფე.

1946 – ირაკლი (ერეკლე) ტატიშვილი, ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი.

1958 – კლინონ დევისონი, ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1966 – ბასტერ კიტონი, ამერიკელი კომედიური კინომსახიობი.

1970 – ნიკოლოზ ხომეზურაშვილი, ქართველი აგრონომმებაღე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

**მედიანიუსი**

# გიგი გაჩეჩილაძე მამა გახდა



მოცეკვავე გიგი გაჩეჩილაძე, რომელიც ფართო საზოგადოებამ პროექტით „ცეკვავენ ვარსკვლავები" გაიცნო, მამა გახდა.

მას და მის მეუღლეს ანანო ჯოხაძეს პირველი შვილი – ბიჭი შეეძინათ. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ახალბედა მშობლებმა პატარას მაქსიმე დაარქვეს.

ეს სასიამოვნო ინფორმაცია მსახიობმა გიორგი გაგლოევმა სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– გიგილო მამა გახდა!

გიგი და ანანო ორწლიანი ურთიერთობის შემდეგ გასული წლის ზაფხულში დაქორწინდნენ. მანამდე გიგი გაჩეჩილაძე სალომე ჭაჭუაზე იყო შეყვარებული. წყვილი დაქორწინებასაც აპირებდა, თუმცა „ცეკვავენ ვარსკვლავების" ერთ-ერთ სეზონში სალომე ჭაჭუას და გიორგი ვარდოსანიძის დაწყვილება მათი სიყვარულისთვის საბედისწერო აღმოჩნდა – სალომეს და გიორგის ერთმანეთი შეუყვარდათ, რამაც გიგის და სალომეს დაშორება განაპირობა.

# დათუნიკა სხირტლაძის მეუღლეს მხარდაჭერა სჭირდება



დათუნიკა სხირტლაძის მეუღლეს, ქალბატონ მზია ჯინჭარაძეს საზოგადოების მხარდაჭერა ესაჭიროება.

ჯგუფი „ეგარი" ინფორმაციას და სპეციალურ პეტიციას ავრცელებს, სადაც საქართველოს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტს და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართავს:

– 30 დეკემბერს სცენაზე მოულოდნელად გარდაიცვალა არაჩვეულებრივი ხელოვანი და პიროვნება, რაჭისა და მთელი საქართველოს სიამაყე, დავით (დათუნიკა) სხირტლაძე...

ის წლების მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა ამბროლაურის კულტურის ცენტრს. სამწუხაროდ, დათუნიკა სხირტლაძე ვერ მოესწრო ნანატრი შვილის დაბადებას. მოხდა სასწაული და მის დაკრძალვამდე ერთი საათით ადრე ქვეყნიერებას მოევლინა დავით-თევდორე სხირტლაძე.

ფაქტობრივად, ოჯახი დარჩა ერთადერთი მარჩენლის გარეშე. დათუნიკას მეუღლეს, ქალბატონ მზია ჯინჭარაძეს გადაწყვეტილი აქვს, არ მოშალოს გარდაცვლილი მეუღლის მშობლიური კერა სოფელ ხიმშში და მათი მემკვიდრეც აღზარდოს იმ გარემოში, სადაც დაიბადა და გაიზარდა დათუნიკა სხირტლაძე.

ეს ის სახლ-კარია, რასაც ელოლიავებოდა ცოლ-ქმარი და დათუნიკას სიცოცხლეშივე იქცა ეთნოგრაფიულ მუზეუმად... გამომდინარე იქედან, რომ ქალბატონ მზიას არა აქვს სტაბილური შემოსავალი, რაც აუცილებელია მათი არსებობისთვის, ამბროლაურის მოსახლეობამ, ინტელიგენციამ და დათუნიკას მეგობრებმა მოითხოვეს, დაენიშნათ ქალბატონი მზია ჯინჭარაძე გარდაცვლილი მეუღლის თანამდებობაზე.

ვფიქრობთ, ამბროლაურის გუბერნიის, რაიონის, საკრებულოს, მერიის ხელმძღვანელობა მიიღებს გონივრულ გადაწყვეტილებას და ყოველგვარი კონკურსის გარეშე, ქალბატონ მზიას კულტურის ცენტრის დირექტორად დანიშნავს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### ინდოეთში მაიმუნმა ლეკვი იშვილა



ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის ქალაქ კარელიში მაკაკას ჯიშის მაიმუნმა უპატრონო ლეკვზე მზრუნველობა საკუთარ თავზე აიღო. ცხოველი მას ერთ წუთითაც კი არ იშორებს გვერდიდან.

ინტერნეტში გამოქვეყნებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ დარბის ორ ფეხზე ქუჩაში მაიმუნი, რომელსაც წინა თათებით ლეკვი ჰყავს ჩახუტებული. ამ უჩვეულო სანახაობას დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ადგილობრივი მცხოვრებლები.

მაიმუნის მიერ ლეკვის შვილად აყვანა და მასზე ზრუნვა პირველი შემთხვევა არ არის. მსგავსი რამ ადრეც მომხდარა. თვითმხილველთა აზრით, სავარაუდოდ, ლეკვისადმი ასეთი მზრუნველობის გამოჩენა მაიმუნის მხრიდან იმით არის განპირობებული, რომ, შესაძლოა, მან საკუთარი ნაშიერი დაკარგა და ამიტომ ლეკვი მასთან გააიგივა.

### ამერიკის ზოოპარკიდან წითელი პანდა გაიქცა



ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ ნორფოლკის ზოოპარკიდან წითელი პანდა გაიქცა.

23 იანვარს ზოოპარკის თანამშრომლებმა შენიშნეს, რომ წითელი პანდა, სახელად სანი, ვოლიერში აღარ იმყოფებოდა. მას შემდეგ ცხოველს ეძებენ. მეზობლად მდებარე სახლები მცხოვრებლებს სთხოვეს, შეატყობინონ, თუ ისინი გაქცეულ ცხოველს შენიშნავენ. წითელი პანდას ძებნაში პოლიციაცაა ჩართული. მის ძებნას გეოთერმული კამერების დახმარებითაც ცდილობენ. ზოოპარკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, ეს შემთხვევა შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ იანვარში წითელ პანდებს შეწყვილების პერიოდი ეწყებათ, ამის გამო აგზნებულები არიან და მათი ქცევა გამოუცნობი ხდება.

### ბრიტანელს სიმაღლის გამო მანქანის მართვა აუკრძალეს



სასამართლომ ბრიტანელს ავტომობილის მართვა დროებით იმის გამო აუკრძალა, რომ მისი სიმაღლე სხვა მძღოლებს ყურადღებას უფანტავდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

26 წლის ქალაქ ნიუკასლის მცხოვრები ადამ ელიოტი პოლიციამ იმ დროს გააჩერა, როდესაც ის კაბრიოლეტ ფორდ კა-ს მართავდა. სამართალდამცავთა ყურადღება იმ ფაქტმა მიიპყრო, რომ ახალგაზრდა მამაკაცის თავი ავტომობილის საქარე მინის ზევით იყო მოქცეული. მათ იფიქრეს, რომ ელიოტი მანქანას ფეხზე მდგომი მართავდა.

თუმცა გაირკვა, რომ მამაკაცის სიმაღლე, რომლის საქმიანობას ავტომობილების გაყიდვა წარმოადგენს, 200 სანტიმეტრამდე აღწევს და ის უბრალოდ მანქანაში, რომელიც კლიენტისთვის მიჰყავდა, ვერ ეტეოდა.

– პოლიცია ამტკიცებდა, რომ მე საჭესთან ვიდექი და ისე ვმართავდი ავტომობილს, მაგრამ ასე არ ყოფილა. უბრალოდ ამ ავტომობილისთვის მეტისმეტად მაღალი ვარ, – განაცხადა მან.

საქმის მორიგი სასამართლო განხილვის დროს, ადვოკატის რჩევით, ელიოტმა მანქანის სახიფათოდ მართვა აღიარა.

– სრულიად ნათელია, რომ თქვენ საკუთარი სიმაღლის დემონსტრირებას ახდენდით და ამით თავს იწონებდით სხვა მძღოლების წინაში. ამით თქვენ მათ ყურადღებას უფანტავდით, ეს კი სახიფათოა, – განაცხადა მოსამართლემ.

ელიოტს, როგორც მინიმუმ, 27 თებერვლამდე აუკრძალეს მანქანის საჭესთან დაჯდომა. სწორედ ამ დღეს გაიმართება საქმის განხილვა და გადაწყდება, თუ როგორ სასჯელს დააკისრებენ ადამ ელიოტს.

### თეთრმა ლაბრადორმა შავი თანამოძმე მდინარიდან ამოიყვანა

არგენტინის კორდობას პროვინციაში თეთრი ფერის ლაბრადორმა მდინარის მიერ გატაცებული შავი ფერის ლაბრადორი გადაარჩინა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეორგოლი იუთუბიზე ინტერნეტმომხმარებელმა რაფაელ ფრანჩიულიმ გამოაქვეყნა.



კლიპისთვის თანდართულ კომენტარებში ინტერნეტმომხმარებლებმა ვიდეოს ავტორს უსაყვედურეს, რომ ის თავად არ დაეხმარა ძაღლს, უბრალოდ, იდგა და იღებდა, რათა ამით იუთუბიზე ფული გამოემუშავებინა, თუმცა თავად ფრანჩიულიმ განმარტა, რომ ცხოველები ამ ადგილას ხშირად ერთობიან და იქ მათ არაფერი ემუქრებოდათ. ვიდეომ გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში 40 ათასამდე ნახვა მოაგროვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი**
**1 თებერვალი**

**07.00** დოკ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებნი" **08.00** ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **14.30** "დღე მუზეუმში" **15.00, 02.05** გადაცემა "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად. **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" **00.00** მხ/ფ "**უგზოუკვლოდ დაკარგული**" (ჯ.ლემონი) **03.05** "რეალური სივრცე"

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** მხ/ფ "**ბედნიერი გილმორი**" (ა. სენდლერი) **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**ელიფი**" **7-8** სერ. **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **1** სერ. **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სერ. "**რანი**" **3-4** სერ. **01.30** მხ/ფ "**უმაღლესი ქულა**" **03.15** მხ/ფ "**სუპერ ფორსაჟი**" **04.50** მხ/ფ "**ელიტარული საზოგადოება**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.50, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე **00.30** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**ფანბოი და ჩამ-ჩამი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **18.00** სერ. "**სკანდალი**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ "**გადამზიდი**" **01.45** მხ/ფ "**გადამზიდი 2**" **03.20** მხ/ფ "**სიჩქარის წყურვილი**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "...სხვა რამ არ მწამდა..." ირაკლი აბაშიძე **11.20** ბიბლია ბავშვებისათვის **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ნაძერწი ფიგურები" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** დ/ფ "ველური ბუნება-ლაგუნას დედოფალი" **16.00** კონცერტი **16.45** ეპოქა და ადამიანები "ილია ჭავჭავაძე" **17.15** წმინდა ანტონ მარტყოფელი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ცხელი ზაფხულის სამი დღე**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "წკელიკარი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" **14.30, 15.30** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შეძლებ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**მახე**" **1.30** "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**1 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7061

ევრო — 2.8947

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3926

100 რუსული რუბლი — 4.5211

## ამინდის პროგნოზი 1 თებერვლისთვის





## 31 იანვრიდან




ლოურენს რიზი

მეორე მსოფლიო ომი დახურულ კარს მიღმა

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 1 თებერვლიდან

საქართველოს გეოგრაფიული ატლასი




ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

## 3 თებერვლიდან




პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– უფასო ექიმს ვერაფრით დაუმტკიცებ, რომ ავად ხარ, ფასიანს კი, რომ ჯანმრთელი ხარ!

•••

სომეხს ეკითხებიან:

– საიდან გაქვს ასეთი მაგარი საათი?

– მამამ მომყიდა, სიკვდილის წინ.

•••

სახლში მისული გიგი მამას ეუბნება:

– მამა, დღეს სკოლაში მინა ჩავამტვრიე.

– ვერ გავიგე, სკოლაა თუ ორანჟერეა!

•••

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ყველაფერი მტკივა.

– მეტისმეტი ხომ არ მოგდის, ყველაფერზე ფული არ გეყოფა!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ და არ შემიძლია არ გითხრა, რომ როგორც კი სახლიდან მიდიხარ, შენ ცოლს მამაკაცების რიგი უდგას.

– ვიცი, ვიცი, მაგრამ რა გავაკეთო?

– გაშორდი ცოლს.

– მერე, მეც რიგში ჩავდგე?

•••

ცოლ-ქმარი ექიმთან არის მიღებაზე. ექიმი ეკითხება:

– აბა, რაშია საქმე?

ქალი პასუხობს:

– იცით რა, ექიმო, ჩემი ქმარი ნაადრევი ეაკულაციისგან იტანჯება.

ამ დროს ქმარი ექიმს ეუბნება:

– მე არა, ექიმო, ჩემი ცოლი იტანჯება!

•••

ერთი თანამშრომელი მეორეს ეუბნება:

– დღეს უფროსმა თქვა, რომ თვის ბოლომდე სამსახურიდან 50 თანამშრომელს გაუშვებენ.

– კი მაგრამ, ჩვენთან ხომ მხოლოდ 20 კაცი ვართ დარჩენილი!

– ჰოდა, 30-ს მიიღებენ და მერე ყველას გაგვიშვებენ!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, არ გინდივარ?

– არა.

– საჭმელი გინდა?

– მინდა.

– მერე, მათ შორის კავშირს ვერ გრძნობ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.







## 2 თებერვლიდან

ძმები გრიმები

რაპუნცელი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ჟოზე მოურინიო: „ჩემი კერპი მე ვარ“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო აცხადებს, რომ საკუთარი თავის კერპი თავად არის და არ აღელვებს, რას ფიქრობს ხალხი მის შესახებ.

თავდაჯერებულობა ყოველთვის იყო მახასიათებელი ქარიზმატული პორტუგალიელისა, რომელმაც მსოფლიოს თავი პორტუში მუშაობით გააცნო.

ჩელსიში თავისი გადასვლა ყველასთვის ცნობილი შეფასებით გამოხატა – მე განსაკუთრებული ვარ. ეს სტატუსი კი სამომავლოდ ჩელსიში, ინტერსა და რეალში მიღწეული წარმატებით გაამყარა.

მანჩესტერის სათავეში ზაფხულში ჩადგომამ კი მოურინიოს ყოველმხრივ განსხვავებული გამოწვევა მისცა, რამეთუ „ოლდ ტრაფორდის“ მკვიდრების მწვერვალზე დაბრუნება ევალება.

**ჟოზე მოურინიო:**

– ადამიანები, რომლებიც მართებულად უდგებიან ამ საკითხს, იმათ ჯგუფს ეკუთვნიან, რომლებიც საკუთარი თავისადმი დადებითად არიან განწყობილი. ვფიქრობ, მე ვარ კერპი კერპად ყოფნის გარეშე. ჩემი თავისადმი განმუხტვადი მიდგომით მე თავად ვარ კერპი. ჩემთვის ეს საუკეთესო აღწერაა „კერპისა“. არ გაღელვებს ხალხის ფიქრები, მათი აზრები, მხოლოდ პირადი დამოკიდებულება გაინტერესებს, რომ იყო მზად და შეეგუო სპეციფიკურ მომენტს. მსოფლიოს ოთხივე მხარეს მიცნობენ, ყოველ სტადიონზე დაინახავთ გულშემატკივართა რეაქციას. როგორც წესი, ემოცია შეურაცხყოფით ან სიმღერით იწყება. მაგრამ მე მხოლოდ ხელს ვუქნევ და ბოლოს ისინი ბედნიერები არიან, რის შემდეგაც ჩემთან ერთად ფოტოს გადაღება სურთ. ასე რომ, ფეხბურთის მოყვარულთა გვერდით თავს კარგად ვგრძნობ. მატჩის დროს მათ არ მოვწონვარ, იქნებ ჩემი ან ჩემი გუნდის ეშინიათ, მაგრამ მატჩამდე და მის შემდეგ კარგად არიან განწყობილნი.

## ბარსელონას მესის კონტრაქტზე მნიშვნელოვანი საკითხები აქვს

ესპანური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსელონის მაღალი თანამდებობის წევრებს შორის გამოკითხვა ჩატარდა, რომლის მიზანი პრობლემატური საკითხების გამოვლენა იყო.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ კლუბისთვის მნიშვნელოვანია სტადიონის რეკონსტრუქცია, ტიტულები, გუნდის შემადგენლობის ფორმირება, სამართლებრივი საკითხები და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა.



ლიონელ მესის კონტრაქტი მნიშვნელოვან საკითხებს შორის მე-6 პოზიციას იკავებს. როგორც იცით, არგენტინელის ხელშეკრულება 2018 წლის ზაფხულში იწურება.

ცხადია, ამ ფაქტმა უკმაყოფილება გამოიწვია გულშემატკივართა შორის, რის გამოც ბარსელონის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ხოსეპ ვივიესმა კომენტარი გააკეთა:

– მესის კონტრაქტი კლუბისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არსებობს ლიონელის ხელშეკრულებაზე უფრო მასშტაბური საკითხები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასშტაბური საკითხები უფრო საჭიროა, ვიდრე მესის კონტრაქტი.

## რონალდინიო: „ჩემი ტრიო ახლანდელს სჯობია“




ბარსელონის ლეგენდარულმა ფეხბურთელმა რონალდინიომ კატალონიური კლუბის ისტორიაში 2 უძლიერეს ტრიოს (ეტოო-მესი-რონალდინიო და მესი-სუარესი-ნეიმარი) შორის პარალელი გაავლო. ბრაზილიელმა აგრეთვე ისაუბრა იმაზე, თუ რატომ არ გადავიდა ბარსელონიდან ჩელსიში.

**რონალდინიო:**

– ორივე ტრიო ბარსელონის ისტორიაში შევიდა და თითოეული მათგანი შესანიშნავია. თუმცა, ჩემი სამეული, მსნ-ს მირჩევნია...

არ ვნანობ, რომ ინგლისში თამაში ვერ მოვახერხე, მაგრამ ეს კარგი იქნებოდა, რადგან პრემიერ ლიგა საოცარი ჩემპიონატია. თავის დროზე ჩელსი ჩემით იყო დაინტერესებული ისევე, როგორც სხვა გუნდები. ბარსელონაში ასპარეზობის დროს ევროპაში ჩვენი ყველაზე ღირსეული მოწინაალმდეგე ჩელსი იყო. ლონდონურ კლუბთან მატჩებში ყოველთვის მძიმე ბრძოლა გველოდა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. მუსიკალური ნაწარმოების ბოლო, დასკვნითი ნაწილი; 2. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 3. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული ხე, რომლის თესლისგან იღებენ ზეთს და ხის წებოს; 4. პოპულარული ბრიტანული იუმორისტული ჟურნალი; 5. მიწისძვრისგან განადგურებული ისტორიული ქალაქი იტალიაში; 6. ეგეოსის ზღვისპირა ნავსადგური საბერძნეთში; 8. გერმანიის იმპერიის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 10. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 11. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 14. ანთებითი დაავადება; 15. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 16. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება.

**თარაზულად**: 1. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ტროპიკული ლერწამი, რომლისგანაც ამზადებდნენ საწერ მასალას ძველად; 7. თოფის წამალი; 9. მაჯისცემა; 12. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 13. ქართველი უფოლოგი; 14. საჭადრაკო ამოცანა; 17. ქრისტიანთა წმინდა წიგნი; 18. მაჯისცემის გრაფიკული ჩანაწერი; 19. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 20. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*